საჯარო ბიბლიოთეკა

საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КОМПАРТИИ ГРУЗИИ И СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 276 (9436) | შაბათი, 22 ნოემბერი, 1952 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში

მოვამზადოთ საწარმოები და ტრანსპორტი ზამთრისათვის—მოწინავე.
გადაწყვეტილებანი თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა (1-ლი გვერდი).
გავაუმჯობესოთ სახალხო განათლების საქმე—«პრავდის» 21/XI მოწინავე (1-ლი გვერდი).
პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი კომკავშირის საბრძოლო პროგრამაა—საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი (მე-2 გვერდი).
კონსულტაცია. ი. ხუციშვილი, მ. კეკელიძე—შრომის ნაყოფიერების ზრდაზე მოქმედი ფაქტორები სოციალისტურ მრეწველობაში (მე-2 და მე-3 გვერდი).
რედაქციის ფოსტიდან (მე-3 გვერდი).
პ. ოდიშარია—დავიცვათ ხეხილის ბაღები მავნებლებისაგან (მე-3 გვერდი).
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია (მე-3 გვერდი).
საბრალდებო დასკვნა რ. სლანსკისა და მის თანამზრახველთა საქმეზე (მე-4 გვერდი).
უცხოეთის, რესპუბლიკური და საკავშირო ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

## მოვამზადოთ საწარმოები და ტრანსპორტი ზამთრისათვის

პარტიის XIX ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ითვალისწინებს ხუთწლედის მანძილზე სამრეწველო წარმოების დონის ამაღლებას დაახლოებით 70 პროცენტით, მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა გადიდებას დაახლოებით ორჯერ, ნაციონალური შემოსავლის ზრდას სულ ცოტა 60 პროცენტით, მშრომელთა მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის შემდგომ გაუმჯობესებას, საბინაო-საყოფაცხოვრებო მშენებლობის ფართოდ გაჩაღებას. **„მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესრულება,** — ნათქვამია დირექტივებში, — **წინგადადგმული დიდი ნაბიჯი იქნება სოციალიზმიდან კომუნიზმისაკენ განვითარების გზაზე“.**

ქართველი ხალხი მთელი საბჭოთა ქვეყნის ხალხებთან ერთად უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობით შეხვდა მშობლიური კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, ყრილობის დასკვნით სხდომაზე ამხანაგ სტალინის მიერ წარმოთქმულ შთამაგონებელ სიტყვას. ამ პოლიტიკურმა და საწარმოო აღმავლობამ გამოხატულება ჰპოვა მთელ ჩვენს ქვეყანაში ფართოდ გაჩაღებულ საყოველთაო-სახალხო სოციალისტურ შეჯიბრებაში, თვითეული მშრომელის მისწრაფებაში მაღალნაყოფიერი შრომით თავიანთი წვლილი შეიტანონ კომუნიზმის მშენებლობის დიადი სტალინური პროგრამის განხორციელებაში.

საწარმოთა და ახალმშენებლობათა კოლექტივები, ტრანსპორტისა და საკოლმეურნეო სოფლის მშრომელები ენერგიას არ იშურებდნენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებათა გასანაღდებლად, ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. შეჯიბრების მსვლელობაში სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის მეფოლადეებმა და ტყვარჩელქვანახშირის ტრესტის ახიბლარის № 4 შახტის მეშახტეებმა მოწოდებით მიმართეს რესპუბლიკის მეტალურგებსა და მეშახტეებს ფოლადის გამოდნობისა და ქვანახშირის ამოღების თავიანთი ხუთწლიანი გეგმების ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ. მეფოლადეთა და მეშახტეთა ამ პატრიოტულმა თაოსნობამ რესპუბლიკის მეტალურგების, ტყვარჩელელი, ტყიბულელი და ახალციხელი მეშახტეების მხურვალე მხარდაჭერა ჰპოვა.

სოციალისტურ შეჯიბრებაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ ტყვარჩელელი მეშახტეები და ჭიათურელი მაღაროელები. პირველმა მესამე კვარტალის საწარმოო შედეგებით კვლავ მოიპოვა საპატიო ჯილდო — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია, ხოლო მეორემ—ვადამდე ოცი დღით ადრე—10 ნოემბრისათვის უზრუნველყო სასაქონლო მარგანეცის დამზადების თერთმეტი თვის გეგმის შესრულება. საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებმა, რომლებმაც მესამე კვარტალში ვერ შეძლეს საწარმოო გეგმის მთლიანად შესრულება, ოქტომბერში საგრძნობლად გააუმჯობესეს მუშაობა, გადაჭარბებით შეასრულეს ოქტომბრის საგეგმო დავალებანი და რამდენიმე მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვეს. დაწინაურდნენ მრეწველობისა და ტრანსპორტის მთელი რიგი სხვა საწარმოებიც.

მეხუთე ხუთწლიანი გეგმა ჩვენი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ახალ მძლავრ აღმავლობას ითვალისწინებს. თუ მთლიანად საბჭოთა კავშირში სამრეწველო წარმოების დონის ამაღლება გათვალისწინებულია დაახლოებით 70 პროცენტით, საქართველოში მეხუთე ხუთწლედის წლებში სამრეწველო წარმოების ზრდამ 74,2 პროცენტი უნდა შეადგინოს. ეს ერთხელ კიდევ მკაფიოდ ადასტურებს ლენინ — სტალინის პარტიისა და ხალხთა გენიალური ბელადის ამხანაგ სტალინის უდიდეს მზრუნველობას მოკავშირე რესპუბლიკების მშრომელთა საჭიროებების უკეთ დაკმაყოფილებისა და მათი კეთილდღეობისათვის.

ყოველივე ეს რესპუბლიკის პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს ავალებს ამთავითვე გააჩაღონ ბრძოლა ახალი ხუთწლედით რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის და კერძოდ მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანების სასახელოდ განხორციელებისათვის, მთელი ძალები წარმართონ იქითკენ, რომ თვითეული საწარმო, თვითეული საამქრო, ცვლა და ბრიგადა მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებდეს საგეგმო დავალებას, ამავე დროს ზუსტად იცავდეს ასორტიმენტსა და ხარისხობრივ მაჩვენებლებს.

მესამე კვარტალში ჩვენი რესპუბლიკის მრეწველობამ ვერ შეძლო საგეგმო დავალების მთლიანად შესრულება და ათობით მილიონი მანეთის პროდუქცია დააკლო სამშობლოს. ეს გარემოება გვავალებს მეოთხე კვარტალში გადაჭრით გავაუმჯობესოთ მუშაობა და უზრუნველვყოთ ახალი ხუთწლედის მეორე წლის გეგმის არა მარტო მთლიანად, არამედ დიდი გადაჭარბებით შესრულება მრეწველობის ყველა დარგში.

მრეწველობის მუშაკთა წინაშე დასახული ამ ამოცანის შესრულება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოემზადებიან ისინი ზამთარში შეუფერხებელი მუშაობისათვის. როგორც ცნობილია, ზამთარი მრეწველობისა და ტრანსპორტის მუშაობისათვის ყველაზე ძნელი პერიოდია. ამიტომ ზამთრისათვის დროული მომზადება წყვეტს წარმატების საკითხს.

რესპუბლიკის საწარმოებში და ტრანსპორტზე რამდენიმე თვეა ამ მიმართულებით მიმდინარეობს მოსამზადებელი მუშაობა. ძირითად სამუშაოთა დიდი უმეტესობა უკვე განხორციელებულია. მაგრამ არის კიდევ მთელი რიგი არსებითი სამუშაოები, რომელთა შესრულება ფერხდება საჭირო საშენი მასალების მოუმარაგებლობის გამო.

ზამთრისათვის მზადების საქმეში ყველაზე ჩამორჩენილი უბანია მუშა-მოსამსახურეთა საბინაო ფონდისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო ნაგებობების შეუკეთებლობა. ისეთ დიდ სამრეწველო ობიექტზეც კი, როგორიც ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაა, მთელი რიგი სამუშაოები ამ მიმართულებით ჯერ კიდევ შეუსრულებელია. ზამთრისათვის მოსამზადებლად საგრძნობი სამუშაოებია შესასრულებელი აგრეთვე რკინიგზის ტრანსპორტზე, ქვანახშირის მრეწველობაში, რესპუბლიკის მთელ რიგ საწარმოებში.

ზამთრისათვის მომზადება მარტო საწარმოო შენობებისა და საყოფაცხოვრებო ნაგებობების შეკეთებით როდი ამოიწურება. საჭიროა ნედლეულის, დამხმარე მასალებისა და სათბობის საკმაო რაოდენობით მომარაგება, სასათბობო და ელექტრომეურნეობის წესრიგზე მოყვანა, ყველა პირობის შექმნა მაღალნაყოფიერი შრომისათვის.

საწარმოთა სამეურნეო ხელმძღვანელებმა ზამთრისათვის მომზადების საქმეში მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინონ წარმოების შინაგანი რესურსების მობილიზაციისათვის, ამავე დროს მომმარაგებელმა ორგანიზაციებმა უკეთ უნდა მოამარაგონ საწარმოები აუცილებელი საშენი მასალებით.

პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების, საწარმოთა და ტრანსპორტის ხელმძღვანელების გადაუდებელი ამოცანაა უახლოეს დროში დაამთავრონ ზამთრისათვის მოსამზადებელი სამუშაოები, ყველა პირობა შექმნან იმისათვის, რომ უზრუნველყოთ მიმდინარე სამეურნეო წლის წარმატებით დამთავრება, სათანადო პირობების მომზადება მომავალ წელს უფრო მაღალნაყოფიერი მუშაობისათვის.

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დმანისის რაიონის გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა **გადაწყვიტა:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39, 40 და 41 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დმანისის რაიონის გომარეთის № 106 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **კირვალიძე** გიორგი ვასილის-ძე — დმანისის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **ქრისტესიაშვილი** ბაგრატ საბას-ძე — გომარეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურის მუშა-მოსამსახურეებისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **კარტოზია** ლეონტი ანტონის-ძე — დმანისის რაიონის დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

**ზახაროვი** ანტიპ დემიანის-ძე — სოფელ განახლების სტალინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

**ბაინდურაშვილი** ფოფოლა იველის ასული — სოფელ გომარეთის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

**გურჯიევი** სარა პავლეს ასული — სოფელ სარკინეთის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

**კახრამან** ალი ოღლი — სოფელ კამარლოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის წევრებისაგან.

**მოხოვა** ვალენტინა ალექსანდრეს ასული — დმანისის რაიონის ხორცის და რძის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირისაგან.

**ჭანიძე** ვერა არსენის ასული — ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის დმანისის რაიონული ორგანიზაციისაგან.

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **მ. ალავერდაშვილი.**

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. საგინაშვილი.**

ქ. თბილისი, 1952 წ. 21 ნოემბერი.

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტისა

### საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალციხის ლენინის საქალაქო № 90 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა **გადაწყვიტა:**

„საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების დებულების“ 39, 40 და 41 მუხლების საფუძველზე დამტკიცდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების ახალციხის — ლენინის საქალაქო № 90 საარჩევნო ოლქის საოლქო საარჩევნო კომისია საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მშრომელთა საზოგადოებების შემდეგი წარმომადგენლების შემადგენლობით:

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე — **ცაგარეიშვილი** პეტრე კონსტანტინეს-ძე — ახალციხის რაიონის კომუნისტური ორგანიზაციისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **აზნაუროვა** ეკატერინე ნიკოლოზის ასული — ახალციხის რაიონის მედმუშაკთა პროფკავშირისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის მდივანი **დურგლიშვილი** სერგო ვასილის-ძე — ახალციხის რაიონის სახელმწიფო დაწესებულებების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები:

**გაზაზიანი** მარიამ გრიგოლის ასული — საზოგადოება წითელი ჯვრის ახალციხის რაიონული ორგანიზაციისაგან.

**ინასარიძე** მარიამ იოსების ასული — ახალგაზრდათა ლენინური კომუნისტური კავშირის ახალციხის რაიონული ორგანიზაციისაგან.

**ყიფიანი** ირაკლი გიორგის-ძე — ახალციხის რაიონის მტს-ების და მიწათმოქმედების მუშაკთა პროფკავშირისაგან.

**მესხელი** მარიამ ბესარიონის ასული — ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის პედაგოგიური პერსონალისაგან.

**მგალობლიშვილი** ტიტე ბეგლარის-ძე — ახალციხის პედაგოგიური სასწავლებლის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივისაგან.

**სიდოროვი** ვლადიმერ არტემის-ძე.

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე **მ. ალავერდაშვილი.**

თბილისის ოლქის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **გ. საგინაშვილი.**

ქ. თბილისი, 1952 წ. 21 ნოემბერი.

## წლიური გეგმა — 21 დეკემბრისათვის

ქუთაისის მაუდის ფაბრიკის კოლექტივი ახალ შრომით წარმატებებს აღწევს. ფაბრიკამ 10 თვის დავალება 106,1 პროცენტით შეასრულა, ამასთან 97,1 პროცენტამდე გაზარდა პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვება.

მაღალნაყოფიერი შრომით თავი ისახელა საქსოვმა საამქრომ, რომელმაც ათი თვის საწარმოო დავალება 101,3 პროცენტით გაანაღდა და 12.800 კილოგრამი ნართი დაზოგა. ათი თვის გეგმა დიდი გადაჭარბებით შეასრულეს საჩეჩ-სართავმა და სამღებრო-გამომყვანმა საამქროებმა.

ფაბრიკის კოლექტივი ნოემბერშიც წარმატებით განაგრძობს მუშაობას. პირველი დეკადის გეგმა შესრულებულია 102,9 პროცენტით. აქ ნოემბერი სტახანოვურ თვედ გამოაცხადეს და ვალდებულება იკისრეს წლიური გეგმა შეასრულონ — 21 დეკემბრისათვის.

შეჯიბრებაში განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევენ ფთილის დამამზადებელი ცაცა მიხეილიძე, მქსოველები ოლია ივანიკოვა, ნატალია გოლოდნიკოვა, ჟუჟუნა ჯიმშელეიშვილი და სხვები. („კომუნისტის“ კორ.).

## ქედელ მეთამბაქოეთა წარმატება

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით და დიდი სტალინის შთამაგონებელი სიტყვით აღფრთოვანებულმა ქედის რაიონის მეთამბაქოეებმა ამ დღეებში ახალ წარმატებას მიაღწიეს. მათ გაანაღდეს სახელმწიფოსათვის ხმელი თამბაქოს ჩაბარების წლიური დავალება და ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სულ ცოტა 100 ტონა თამბაქოს ნედლეული.

თამბაქოს უხვი მოსავალი მოიყვანა სოფელ ახოს სტალინის სახელობის კოლმეურნეობამ. აქ 18 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე აღებულია 22 ცენტნერი თამბაქო, სახელმწიფოს ჩაბარდა 30 ტონა ნედლეული, რაც 12,4 ტონით მეტია საგეგმო დავალებაზე. ბრიგადებს შორის თავი ისახელეს სოციალისტური შრომის გმირის კომუნისტ ა. ბერიძის ბრიგადის წევრებმა, მათ შორის ა. ბოლქვაძისა და ო. ბერიძის რგოლებმა.

თვითეულ ჰექტარზე 25 ცენტნერი თამბაქო აიღო კოლმეურნეობის მესამე ბრიგადამ, რომელსაც კომუნისტი ო. ბოლქვაძე ხელმძღვანელობს. (საკ. კორ.).

## გავაუმჯობესოთ სახალხო განათლების საქმე

„პრავდის“ 21/XI მოწინავე

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა ყოველდღიურად ზრუნავენ მშრომელთა კულტურული დონის ამაღლებისა და მოზარდი თაობის კომუნიზმის სულისკვეთებით აღზრდისათვის. პარტიის XIX ყრილობამ დასახა სახალხო განათლების შემდგომი განვითარების ფართო პერსპექტივები.

სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ დირექტივებით გათვალისწინებულია: „ხუთწლედის დამლევისათვის დამთავრდეს შვიდწლიანი განათლებიდან საყოველთაო საშუალო განათლებაზე (ათწლედი) გადასვლა რესპუბლიკების დედაქალაქებში, რესპუბლიკური დაქვემდებარების ქალაქებში, საოლქო, სამხარეო და უდიდეს სამრეწველო ცენტრებში. მომზადდეს პირობები, რათა შემდგომ ხუთწლედში მთლიანად განხორციელდეს საყოველთაო საშუალო განათლება (ათწლედი) დანარჩენ ქალაქებსა და სოფელ ადგილებში“.

ამხანაგ სტალინის ინიციატივით ახალ ხუთწლედში სახალხო განათლების დარგში დასახულია დიდი და პასუხსაგები ამოცანა — დავიწყოთ საშუალო სკოლაში პოლიტექნიკური სწავლების განხორციელება და მივიღოთ საყოველთაო პოლიტექნიკურ სწავლებაზე გადასვლისათვის საჭირო ღონისძიებანი.

ახალ კლასიკურ ნაწარმოებში „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ ამხანაგი სტალინი აღნიშნავს, რომ ერთ-ერთ წინასწარ პირობად კომუნიზმში გადასვლის მომზადებისათვის საჭიროა **„მივაღწიოთ საზოგადოების ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფდა მათი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების წევრებს შესაძლებლობა ჰქონდეთ მიიღონ საკმაო განათლება იმისათვის, რომ გახდნენ საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწენი, რათა მათ შესაძლებლობა ჰქონდეთ, შრომის არსებული დანაწილების გამო, მთელ სიცოცხლეში მიჯაჭვული კი არ იყვნენ ერთ რომელიმე პროფესიაზე, არამედ თავისუფლად აირჩიონ პროფესია“.**

მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში, სადაც ხალხის კეთილდღეობისათვის, მისი მატერიალური და კულტურული დონის ამაღლებისათვის ზრუნვა უცილობელი კანონია, შეიძლება დაისვას და შესრულდეს ესოდენ გრანდიოზული მასშტაბის ამოცანა. იმის უზრუნველყოფა, რომ მთელ ჩვენს ახალგაზრდობას მივცეთ შესაძლებლობა მიიღოს საშუალო პოლიტექნიკური განათლება, ნიშნავს ახალი დიდი ნაბიჯი გადავდგათ ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების ლიკვიდაციის საქმეში, დაუცხრომლად შევავსოთ მუშათა კლასის რიგები სულ უფრო კულტურული და განათლებული ადამიანებით, რომლებსაც უნარი შესწევთ უკეთ გამოიყენონ და წინ წასწიონ უახლესი ტექნიკა, დააჩქარონ მთელი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება.

საბჭოთა სკოლამ ომისშემდგომ წლებში ცოტა წარმატებას როდი მიაღწია. ჩვენში შემოღებულია და ხორციელდება საყოველთაო შვიდწლიანი სწავლება, ფართოვდება ზოგადი და სპეციალური, საშუალო, აგრეთვე უმაღლესი განათლება. მე-5-10 კლასებში მოსწავლეთა რიცხვი 1940-დან 1951 წლამდე 25 პროცენტით გადიდდა. ტექნიკუმებსა და სხვა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში ამ პერიოდში მოსწავლეთა რიცხვი 40 პროცენტით გადიდდა, ხოლო უმაღლეს სასწავლებლებში — 67 პროცენტით.

საბჭოთა სკოლის მიღწევები მნიშვნელოვანია. მაგრამ მის მუშაობაში ცოტა როდია არსებითი ნაკლოვანებებიც, რომელთა აღმოფხვრაც პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების განსაკუთრებული ზრუნვის საგანს უნდა შეადგენდეს. ჩვენში ჯერ კიდევ არის ისეთი რაიონები, ოლქები და რესპუბლიკები, სადაც საყოველთაო შვიდწლიანი სწავლების გეგმა არ სრულდება, სადაც სასწავლო წლის განმავლობაში არის მოსწავლეთა საგრძნობი განთესვა. ასეა დაღისტნის ასს რესპუბლიკაში, კრასნოდარის მხარეში, ბელორუსიის პინსკის ოლქში, სადაც არ იღებენ საჭირო ღონისძიებებს, რათა თავიდან აიცილონ სკოლის ასაკის მოსწავლეთა განთესვა.

სერიოზული ნაკლოვანებებია მთელი რიგი სკოლების სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობაში. მნიშვნელოვანი რაოდენობა მეორეწლიანებისა და ისეთი მოსწავლეებისა, რომლებიც ჩამორჩენილი არიან ამა თუ იმ საგანში, უწინარეს ყოვლისა სასწავლო-პედაგოგიური პროცესის არადამაკმაყოფილებლად დაყენების შედეგია. სწავლების ნაკლოვანებათა გამო ზოგიერთი სკოლის მოსწავლენი, მაგალითად, მარეთისა და ბურიატ-მონღოლეთის ასს რესპუბლიკებში, ნოვოსიბირსკის ოლქში, ვერ იღებენ საკმაოდ ღრმა და მტკიცე ცოდნას.

ცნობილია, რომ სკოლის მუშაობაში გადამწყვეტ როლს ასრულებს მასწავლებელი. მის ცოდნაზე, გამოცდილებასა და იმის უნარზე, რომ გადასცეს ეს ცოდნა მოსწავლეებს, უწინარეს ყოვლისა დამოკიდებულია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ხარისხი. მასწავლებელთა ერთ ნაწილს ჯერ კიდევ არა აქვს სათანადო განათლება და კვალიფიკაციის სერიოზული ამაღლება ესაჭიროება. მაგრამ მასწავლებელთა დაუსწრებელი განათლება, მასწავლებელთა დასახმარებლად მეთოდური ორგანიზაციების საქმიანობა არადამაკმაყოფილებლად არის მოწყობილი. განათლების სამინისტროებმა ჯერ კიდევ ვერ აღმოფხვრეს პედაგოგთა კოლექტივებისადმი ხელმძღვანელობის კანცელარიულ-ბიუროკრატული სტილი, საკმაოდ არ სწავლობენ და არ განაზოგადებენ საუკეთესო მასწავლებლებისა და სკოლების მუშაობის გამოცდილებას, სუსტად ავრცელებენ ამ გამოცდილებას მასწავლებელთა მთელ მასაში. ჩვენში არის ისეთი სკოლებიც, სადაც მასწავლებლები ფორმალურად ეკიდებიან პედაგოგის მოვალეობას, თავიანთ მთავარ ამოცანად მიაჩნიათ გაკვეთილი აძლიონ სახელმძღვანელოს მიხედვით, უნარს ვერ იჩენენ დააინტერესონ და გაიტაცონ მოსწავლეები თავიანთი საგნით. უარყოფით როლს ასრულებს აგრეთვე ჩვენი სკოლების ზოგიერთი საგნის პროგრამების გადატვირთვა.

მეხუთე ხუთწლედის შესახებ პარტიის XIX ყრილობის დირექტივები დიდ მოთხოვნებს უყენებენ საბჭოთა პედაგოგიკის მეცნიერების მუშაკებს. საშუალო (ათწლიანი) განათლების განვითარებასა და სკოლების პოლიტექნიზაციის საკითხების გადაწყვეტასთან ერთად პედაგოგიკის მეცნიერების მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება. საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ რუსეთის სფსრ პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის მუშაობა, ყოველი ღონისძიებით გავაძლიეროთ მეცნიერული მუშაობა პედაგოგიურ უმაღლეს სასწავლებლებში, დავუახლოოთ ეს მუშაობა საბჭოთა სკოლის არსებითი ამოცანების გადაწყვეტას.

სასწავლო-პედაგოგიურმა გამომცემლობებმა და პედაგოგიურმა ჟურნალებმა სერიოზულად უნდა გააუმჯობესონ მუშაობა. საბჭოთა მასწავლებლები მოელიან შინაარსიან შრომებს, რომლებიც გააშუქებენ საუკეთესო მასწავლებლებისა და პედაგოგთა კოლექტივების მუშაობის მოწინავე გამოცდილებას, მოელიან შრომებს, რომლებშიც დამუშავებული იქნება პოლიტექნიკური სწავლების საკითხები და პედაგოგიკის მეცნიერების სხვა პრობლემები. პედაგოგიურ გამომცემლობათა წინაშე დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია დასახული იმ მხრივ, რომ გადაამუშაონ ზოგიერთი სახელმძღვანელო, რომელიც ვერ აკმაყოფილებს საბჭოთა სკოლის მოთხოვნებს, მათ შორის მთელი რიგი სახელმძღვანელოები, რომლებიც გამოცემულია მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში დედაენაზე.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები მოვალენი არიან ყოველდღიურად იზრუნონ სკოლისათვის, მასწავლებელთა კადრების იდეური ზრდისა და მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის. მხარდაჭერის ღირსია პარტიის იაროსლავლის საქალაქო კომიტეტის თაოსნობა, რომელმაც საქალაქო კომიტეტთან მოაწყო სასკოლო პარტიულ ორგანიზაციათა მდივნების მუდმივმოქმედი სემინარი. სემინარზე გამოცდილებისა და აზრთა შემოქმედებითი ურთიერთგაზიარება ხელს უწყობს სასკოლო პარტიულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელებს უფრო კონკრეტულად და მიზანდასახულად მოაწყონ პარტიული მუშაობა, წარმართონ იგი სწავლების იდეურ-თეორიული დონის ასამაღლებლად, სკოლის მთელი მუშაობის გასაუმჯობესებლად.

საბჭოთა სკოლის მუშაობა იმ ახალი ამოცანების შესაბამისად, რომლებიც პარტიამ დაუსახა სახალხო განათლებას, ახალგაზრდობის განათლების, მისი კულტურული დონის ამაღლების საკითხები ყოველდღიურად უნდა იყოს კომკავშირულ ორგანიზაციათა ყურადღების ცენტრში. კომკავშირულ ორგანიზაციათა პირდაპირი მოვალეობაა უზრუნველყონ კომკავშირელთა და პიონერთა მოწინავე როლი სწავლაში, მუდმივი დახმარება გაუწიონ სკოლების დირექტორებს, მასწავლებლებსა და კლასის ხელმძღვანელებს სასწავლო-აღმზრდელობითს მუშაობაში, აქტიური მონაწილეობა მიიღონ მთელ იმ მუშაობაში, რომლითაც ხორციელდება საყოველთაო საშუალო (ათწლიანი) განათლება, სკოლის პოლიტექნიზაცია, მასწავლებელთა ახალი კადრების მომზადება, სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცება.

სახალხო განათლება ჩვენს ქვეყანაში ახალ მძლავრ აღმავლობას აღწევს. პარტიის XIX ყრილობის დირექტივები ითვალისწინებენ ყოველივე იმას, რაც საჭიროა ამ აღმავლობის უზრუნველსაყოფად, მათ შორის ახალი სკოლების მშენებლობას და მასწავლებლებისა და მეცნიერ პედაგოგთა კადრების ფართოდ მომზადებას. ახლა ამოცანა ის არის, რომ მოცემული შესაძლებლობანი ყველა ღონისძიებით გამოვიყენოთ სახალხო განათლების მთელი საქმის კიდევ უფრო გასაუმჯობესებლად.

არც ერთ ბურჟუაზიულ სახელმწიფოს არ ახსოვს და არც შეიძლება ახსოვდეს სახალხო განათლების ისეთი გიგანტური გაქანება, როგორიც მიღწეულია ჩვენს ქვეყანაში. კაპიტალიზმი იმით არის დაინტერესებული, რომ მშრომელები უვიცობასა და სიბნელეში იყოლიოს. უდიდეს კრიზისს განიცდის სახალხო განათლება მთავარ კაპიტალისტურ ქვეყანაში — ამერიკის შეერთებულ შტატებში. ამერიკის შეერთებულ შტატებში წერა-კითხვის უცოდინართა რიცხვი ათ მილიონს აღემატება, ბავშვთა დაახლოებით ერთი მესამედი სკოლაში ვერ დადის.

დიდი და საპატიო ამოცანები, რომლებიც პარტიის XIX ყრილობამ დასახა ჩვენი ქვეყნის სახალხო განათლების შემდგომი აღმავლობის საქმეში. სახალხო განათლების განვითარების ახალი ეტაპი, რასაც მეხუთე ხუთწლიანი გეგმა იწყებს, დიდი ნაბიჯი იქნება იმ მხრივ, რომ გადავწყვიტოთ ამხანაგ სტალინის მიერ დასახული ისტორიული ამოცანა — ყველა მუშა და ყველა გლეხი გავხადოთ კულტურული და განათლებული. საბჭოთა მასწავლებლები, სახალხო განათლების მუშაკები, პედაგოგიკის მეცნიერების მოღვაწენი მთელ ძალღონეს მოახმარენ იმას, რომ პირნათლად შეასრულონ ეს ამოცანა, უზრუნველყონ სახალხო განათლების ახალი აყვავება.

## ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

### ამხ. მ. ა. სუსლოვის ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ამხ. მ. ა. სუსლოვის დაბადების ორმოცდამეათე წლისთავთან დაკავშირებით და პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების აღსანიშნავად ამხ. მიხეილ ანდრიას-ძე სუსლოვი დაჯილდოვდეს ლენინის ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ნ. შვერნიკი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ა. გორკინი.**

მოსკოვი, კრემლი.
1952 წლის 20 ნოემბერი.

## აჭარის კოლმეურნეობებმა შეასრულეს კარტოფილის დამზადების წლიური გეგმა

აჭარის კოლმეურნეობებმა 19 ნოემბრისათვის 100,2 პროცენტით შეასრულეს კარტოფილის დამზადების წლიური გეგმა.

# პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი — კომკავშირის საბრძოლო პროგრამა

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

★ ★ ★

შედგა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მეექვსე პლენუმი. მოხსენება საკითხზე — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებანი და რესპუბლიკის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები — გააკეთა საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. რ. კანდელაკმა.

—XIXყრილობა,—ამბობს მომხსენებელი, — უდიდესი ისტორიული მნიშვნელობის მოვლენა იყო პარტიის, მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში.

ყრილობის გადაწყვეტილებებმა, ამხანაგ სტალინის ისტორიულმა სიტყვამ ყრილობის დასკვნით სხდომაზე, მისმა გენიალურმა ნაწარმოებმა „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ მძლავრი შრომითი აღმავლობა, კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის შემოქმედებითი აქტივობის უმაგალითო ზრდა გამოიწვია. XIX ყრილობის სტალინური გადაწყვეტილებანი მთელმა საბჭოთა ხალხმა და მისმა სახელოვანმა ახალგაზრდობამ მიიღეს როგორც სახელმძღვანელო მოქმედებისათვის, როგორც დიადი პროგრამა კომუნიზმის მშენებლობისათვის ბრძოლაში ახალი წარმატებების მოსაპოვებლად.

— საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის X პლენუმმა, — თქვა ამხ. კანდელაკმა, — წინადადება მისცა კომკავშირის ყველა ორგანიზაციას თავიანთ მუშაობას საფუძვლად დაუდონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი. კომკავშირულმა ორგანიზაციებმა კიდევ უფრო მჭიდროდ უნდა დარაზმონ საბჭოთა ახალგაზრდობა კომუნისტური პარტიის, ამხანაგ სტალინის გარშემო, ახალგაზრდობის ძალები დარაზმონ ჩვენს ქვეყანაში კომუნიზმის აშენებისათვის საბრძოლველად.

მომხსენებელი ლაპარაკობს, რომ ყრილობის გადაწყვეტილებებმა მძლავრი შრომითი აღფრთოვანება გამოიწვიეს ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდობაში, რომელიც პატრიოტული თავდადებით მუშაობს მეხუთე ხუთწლიანი გეგმის წარმატებით განხორციელებისათვის.

ახალ ხუთწლედში გათვალისწინებულია საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარება. ამ ამოცანის წარმატებით გადაწყვეტა დიდად არის დამოკიდებული რესპუბლიკის კომკავშირელებისა და მთელი ახალგაზრდობის მუშაობაზე, მათს შრომითს აქტივობაზე. მომხსენებელს მოჰყავს ახალგაზრდების პატრიოტული შრომის შესანიშნავი მაგალითები. მაგრამ მთელი რიგი კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად რაზმავენ ახალგაზრდობას მეხუთე ხუთწლედით დასახული ამოცანების შესრულებისათვის საბრძოლველად, შემარიგებლურ დამოკიდებულებას იჩენენ შრომის დისციპლინის დამრღვევთა მიმართ, ღრმად ვერ სწვდებიან წარმოების ეკონომიკას, ცუდად ავრცელებენ მოწინავეთა გამოცდილებას. არის ფაქტები, როცა კომკავშირელები და კომკავშირგარეშე ახალგაზრდები ვერ ასრულებენ საწარმოო დავალებებს, სუსტად იბრძვიან პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და თვითღირებულების შემცირებისათვის. მაგალითად, ცუდად მუშაობენ ახალციხის პირველი და მეორე შახტების კომკავშირული ორგანიზაციები. ახალგაზრდა მეშახტეთა შორის ბევრია შრომის დისციპლინის დარღვევის შემთხვევა, ხოლო კომკავშირის ახალციხის რაიკომი ამ მდგომარეობას დუმილით უვლის გვერდს.

მომხსენებელმა დიდი ადგილი დაუთმო სოფლად კომკავშირული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებას. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადასაწყვეტად საჭიროა სოფლის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ძირეულად გარდაქმნან მუშაობა, უზრუნველყონ ყველა კომკავშირელისა და ახალგაზრდის აქტიური მონაწილეობა საკოლმეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. გადამწყვეტი ბრძოლა უნდა გაჩაღდეს სასოფლო-სამეურნეო არტელის წესდების დარღვევებისა და დამახინჯებათა ლიკვიდაციისათვის.

მომხსენებელი დაწვრილებით შეჩერდა იდეოლოგიურ მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებზე. რუსთავის მეტალურგიული ქარხნის 200 კომკავშირელი მეცადინეობის დაწყების პირველი დღისათვის პოლიტიკურ სწავლებაში არ იყო ჩაბმული. ქარხნის კომკავშირულ ორგანიზაციასთან არსებულ წრეებსა და პოლიტსკოლებში ხშირია მეცადინეობის ჩაშლის შემთხვევები, დაბალია სწავლების ხარისხი. უკანასკნელ ხანებში ბლუმინგის საამქროში პროპაგანდისტის გამოუცხადებლობის გამო სამჯერ ჩაიშალა წრის მეცადინეობა. კომკავშირის კაჭრეთის რაიკომი არადამაკმაყოფილებლად ეხმარება წიგნზე დამოუკიდებლად მომუშავე კომკავშირელებს. მათ შედგენილი არა აქვთ ინდივიდუალური სამუშაო გეგმები, უმოქმედობას იჩენენ კონსულტანტები. ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა ლექციურ პროპაგანდას. ქუთაისის რაიკომის მომხსენებელთა ჯგუფს მიმდინარე წლის 15 ოქტომბრამდე არც ერთი ლექცია ან მოხსენება არ წაუკითხავს ახალგაზრდობისათვის.

შემდეგ ამხ. კანდელაკი შეეხო ლიტერატურისა და ხელოვნების საკითხებს და აღნიშნა, რომ ახალგაზრდა მწერლების ერთი ნაწილი მოწყვეტილია სინამდვილეს, მათი შემოქმედება არ არის თემატიკურად მრავალფეროვანი. ბევრ ლექსში ვხვდებით საბჭოთა დიდი პატრიოტული თემების კუთხური ინტერესებით შემოფარგვლას.

ბევრი კომკავშირული ორგანიზაცია გულგრილობას იჩენს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების მუშაობისადმი.

რესპუბლიკის კომკავშირულმა ორგანიზაციებმა, — ლაპარაკობს მომხსენებელი, — რაიონულმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ განხორციელებულ ღონისძიებათა შედეგად მნიშვნელოვნად გააუმჯობესეს ორგანიზაციული და შინაკომკავშირული საქმიანობა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ მუშაობაში არსებული ნაკლოვანებების ბოლომდე აღმოფხვრას. ამხ. კანდელაკი აკრიტიკებს კომკავშირის ლაგოდეხისა და კაჭრეთის რაიკომებს ცუდი მუშაობისათვის და აღნიშნავს, რომ საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ კადრების შერჩევისა და შესრულების შემოწმების საქმე, ფართოდ გავშალოთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ყოველმხრივ განვავითაროთ შინაკომკავშირული დემოკრატია, რათა საქართველოს კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ღირსეული როლი შეასრულონ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მოხსენების გამო კამათში პირველი გამოვიდა კომკავშირის თბილისის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. გ. კავთიაშვილი. მან თქვა: თბილისის ოლქის კომკავშირელები და ახალგაზრდები უდიდეს ინტერესს იჩენენ ყრილობის გადაწყვეტილებებისა და ამხანაგ სტალინის გენიალური ნაშრომის შესწავლისადმი. პატრიოტული შრომის საუკეთესო მაგალითებს გვიჩვენებენ სტალინის სახელობის მეტალურგიული ქარხნის, კასპის ცემენტის ქარხნის, სტალინის სახელობის თბილისის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის ახალგაზრდები. თავდადებით მუშაობს კოლმეურნე ახალგაზრდობა. მაგრამ ჯერ კიდევ ცოტანი როდი არიან ისეთი კომკავშირელები, რომლებიც უხეშად არღვევენ შრომისა და საწარმოო დისციპლინას. ზოგიერთ საწარმოში დავიწყებას მისცეს სტახანოვური სკოლების მუშაობა. ამით არის გამოწვეული ის, რომ ახალგაზრდა მუშების საწარმოო კვალიფიკაცია სათანადო დონეზე არა დგას. ახმეტის, ქარელისა და სხვა რაიონებში კომკავშირული ორგანიზაციები ცუდად მუშაობენ ახალგაზრდობაში კულტურულ-მასობრივი მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

— XIX ყრილობის გადაწყვეტილებებმა, ამხანაგ სტალინის ისტორიულმა სიტყვამ და მისმა გენიალურმა ნაწარმოებმა, — განაცხადა კომკავშირის ქუთაისის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. კვარაცხელიამ, — ჩვენი ოლქის ახალგაზრდობა აღაფრთოვანა მეხუთე სტალინური ხუთწლიანი გეგმით დასახული ამოცანების განსახორციელებლად. საწარმოებში კომკავშირელები გამოდიან როგორც ინიციატორები სოციალისტური შეჯიბრებისა ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესასრულებლად. მაგრამ სერიოზულ ნაკლად კვლავ რჩება ახალგაზრდობის სუსტი მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში. ამ მხრივ განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობაა მაიაკოვსკის, ზესტაფონის, თერჯოლის, ხობის, ონისა და ჭიათურის რაიონებში. სერიოზული ნაკლი არის ახალგაზრდობის პოლიტიკური სწავლების საქმეშიც. რამდენიმე ასეული კომკავშირელი ჯერ კიდევ არ არის ჩაბმული პოლიტიკური განათლების არც ერთ ფორმაში. ორატორი აკრიტიკებს ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ და საოლქო კომიტეტებს, რომლებიც ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ სპორტის მასობრივობას, აჭიანურებენ ფიზკულტურული კადრების შერჩევას.

— აფხაზეთის ახალგაზრდები, — თქვა კომკავშირის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. გ. ჭაჭიამ, — პატრიოტული თავდადებით მუშაობენ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის. მაგრამ წარმატებანი კიდევ უფრო დიდი იქნებოდა, საოლქო, საქალაქო და რაიონული კომიტეტები ახალგაზრდობაში უკეთესად რომ მუშაობდნენ. ოჩამჩირის, გულრიფშის და სუხუმის რაიონების ზოგიერთ პირველად კომკავშირულ ორგანიზაციაში დაბალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ეწყობა კრებები, არ არის დაწესებული სისტემატური კონტროლი მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებაზე, არის რაიკომის პლენუმების მოდუნებულად, უინტერესოდ ჩატარების შემთხვევები.

დედაქალაქის კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის უმაგალითო პოლიტიკურ და საწარმოო აღმავლობაზე ილაპარაკა კომკავშირის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანმა ამხ. შ. კოპალიანმა. ახალგაზრდები დიდი გადაჭარბებით ასრულებენ სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. ამასთან ერთად იგი აღნიშნავს, რომ 26 კომისრის სახელობის ქარხნის, ბერიას სახელობის ფეხსაცმლის ფაბრიკის, ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის კომკავშირული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ ახალგაზრდობაში შრომისადმი სოციალისტური დამოკიდებულების დასანერგავად.

— ახალი სასწავლო წელი კომკავშირული განათლების სისტემაში საერთოდ აჭარაში კარგად დაიწყო, — აღნიშნა კომკავშირის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანმა ამხ. კ. შავიშვილმა. — წელს გაცილებით მეტი კომკავშირელი და ახალგაზრდა სწავლობს, ვიდრე გასულ წელს, მაგრამ ამ მხრივ სერიოზული ნაკლოვანებანი არის ხულოსა და ბათუმის რაიონებში. ზოგიერთ წრეში მეცადინეობა იშლება, არის აგრეთვე მეცადინეობაზე პროპაგანდისტთა მოუმზადებლად გამოცხადების შემთხვევები.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე კომკავშირის ზუგდიდის რაიკომის მდივანი ამხ. გ. კოდუა, სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. პ. თედეევი, გორის რაიკომის მდივანი ამხ. გ. მახარაშვილი და სხვები.

პლენუმის მიერ ერთხმად მიღებული დადგენილება რესპუბლიკის კომკავშირულ ორგანიზაციებს ავალებს ფართოდ მოაწყონ XIX ყრილობის ისტორიული დოკუმენტების პროპაგანდა, გააჩაღონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, ბოლომდე აღმოფხვრან მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი, კომკავშირელებისა და ახალგაზრდობის მთელი ენერგია მოახმარონ პარტიის XIX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლას.

პლენუმის მუშაობაში მონაწილეობას იღებდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ვ. ბუჯიაშვილი და ცენტრალური კომიტეტის პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების განყოფილების გამგე ამხ. გ. ვარდოსანიძე.

# ზამთრისათვის მზადების საქმე [illegible]

ჯერ კიდევ მიმდინარე წლის 10 ივნისს დაიწერა სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხნის დირექტორის ამხ. ნ. გომელაურის სპეციალური ბრძანება, სადაც კონკრეტულად იყო მითითებული, თუ რა უნდა გაკეთებულიყო რკინიგზის საამქროში საორთქლმავლო მეურნეობის ზამთრისათვის მოსამზადებლად. 12 სექტემბერს საორთქლმავლო დეპოს ზამთრისათვის მომზადების საკითხი განიხილეს პარტიულ კრებაზე. ამავე საკითხზე საამქროს პროფკავშირის კომიტეტმაც იმსჯელა, მიღებულ იქნა გადაწყვეტილებანი, მაგრამ იმის გამო, რომ ამ გადაწყვეტილებათა დროულად შესრულებისათვის ზრუნვა ზედმეტად ჩათვალეს, დადგენილებანი მხოლოდ ქაღალდზე დარჩა. საამქრო ზამთარს სრულიად მოუმზადებელი ხვდება.

რკინიგზის საამქროს საორთქლმავლო დეპოში (უფროსი მ. ზაცარნი) ალაყაფის კარისა და ფანჯრების მინების მეტი წილი ჩამტვრეულია. ზოგან ჭერიც დაზიანებულია და წვიმა ჩამოდის. წესრიგზე არ არის მოყვანილი ცენტრალური გათბობის ქსელი და შხაპები. დეპოში სასმელი წყალიც კი არ არის გაყვანილი.

ზამთრის პირობებისათვის მოუწყობელია სამუშაო ადგილები, დაცული არ არის ტექნიკური უსაფრთხოების წესები. თითქმის წელიწადნახევარია, რაც დეპოს სარემონტო განყოფილებაში ჭიანურდება 45-ტონიანი ამწეს კაპიტალური შეკეთება. 8 თვეზე მეტია აქვე შესაკეთებლად დგას ერთი ორთქლმავალი, მაგრამ მისი შეკეთება ჯერაც არ დაუწყიათ. იმის გარდა, რომ შეუკეთებლ[illegible] ორთქლმავალი ცდება, საამქროში მისი ასე უნაყოფოდ დგომა ზამთარში შეაფერხებს ორთქლმავლების მიმდინარე რემონტის ოპერატიულად წარმოებას.

დეპოს ორთქლმავლების გასარეცხ განყოფილებაში კარგა ხანია დაზიანებულია გასარეცხი არხიდან ჭუჭყიანი წყალის გასასვლელი მილი, მაგრამ მისი რემონტისათვის ზომები არ არის მიღებული. ამავე განყოფილებაში მოწყობილი არ არის მუშებისათვის ტანსაცმლის შესანახი კარადები.

სამჭედლო განყოფილებაში კვამლსაწოვი მოწყობილობის უქონლობის გამო დაგროვილი კვამლი ზაფხულში მინებჩამოლეწილი ფანჯრებიდან გადიოდა. ცხადია, ამ წესით კვამლისაგან შენობის გაწმენდა ზამთარში აღარ გამოდგება. კვამლსაწოვის მოწყობა კი, რაც პროექტით თავიდანვე იყო გათვალისწინებული, კვლავ დაუშვებლად ჭიანურდება.

რკინიგზის საამქროს სავაგონო დეპოს სახელოსნოში შპალსაჟღენთი საამქროსათვის ორთქლის მიმწოდებელი მილის ონკანი დაზიანებულია; ონკანიდან დიდი რაოდენობით გამოდის ორთქლი, რომელიც გაცივებისას მთლიანად ასველებს სახელოსნოს და ნორმალური მუშაობის საშუალებას არ აძლევს მუშებს. ხელმძღვანელთა გულგრილობის გამო დღემდე არც ამ ონკანის წესიერად შეკეთება მოხერხდა.

დროა ბოლო მოეღოს ზამთრისათვის მზადებისადმი ასეთ უსულგულო დამოკიდებულებას.

**გ. გელაშვილი,**
„კომუნისტის“ საკ. კორესპონდენტი.

# დროშები და პრემიები შეჯიბრებაში გამარჯვებულებს

პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმმა შეაჯამა საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს საწარმოებში რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მე-3 კვარტალის შედეგები. რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებიდან პრეზიდიუმმა შეჯიბრებაში გამარჯვებულად ცნო მუსიკალურ-საავეჯო კომბინატი (დირექტორი ი. კერესელიძე), სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანა (დირექტორი ვ. ჭავჭანიძე) და ქიმკომბინატი (დირექტორი გ. ბერაძე).

ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს რაიონული დაქვემდებარების საწარმოებიდან შეჯიბრებაში კვლავ გაიმარჯვა თბილისის საბჭოს აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების კვების მრეწველობის კომბინატმა (დირექტორი მ. ჩიქოვანი).

მუსიკალურ-საავეჯო და კვების მრეწველობის კომბინატებს პრეზიდიუმმა მიაკუთვნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი დროშები და პირველი ფულადი პრემიები. მეორე ფულადი პრემიები მიეკუთვნათ სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების ქარხანას და ქიმკომბინატს.

# რძის მრეწველობის ახალი საწარმოები

წლითიწლობით იზრდება რძის გადამამუშავებელი მრეწველობის საწარმოთა რიცხვი საქართველოში. უკვე გადაეცა საექსპლოატაციოდ და პირველი პროდუქცია გამოუშვა ახალქალაქის ყველ-კარაქის ქარხანამ, რომელიც წელიწადში 2 ათას ტონა რძეს გადაამუშავებს. მთავრდება სამონტაჟო სამუშაოები დმანისის, წალკისა და ბოგდანოვკის ახლად აგებულ ყველ-კარაქის ქარხნებში.

მიმდინარე წლის ბოლოსათვის გათვალისწინებულია თბილისის რძის დიდი კომბინატის საექსპლოატაციოდ გადაცემა. კომბინატი დღე-ღამეში 50 ტონა რძეს გადაამუშავებს.

1953 წლის პირველ ნახევარში ამუშავდება რძის კიდევ სამი ახალი ქარხანა რესპუბლიკის საკურორტო ზონაში—გაგრაში, სუხუმსა და ბათუმში. თვითეული მათგანი დღე-ღამეში 5 ტონა რძეს გადაამუშავებს.

ყველა ეს ახლად აგებული ქარხნები აღჭურვილია თანამედროვე უახლესი საბჭოთა ტექნიკით. რძის გადამუშავების ყველა ტექნოლოგიური პროცესი მექანიზებულია.

კონსულტაცია

# შრომის ნაყოფიერების ზრდაზე მოქმედი ფაქტორები სოციალისტურ მრეწველობაში

მარქსისტულ-ლენინურ ეკონომიკურ მოძღვრებაში შრომის ნაყოფიერების საკითხს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. მარქსიზმის კლასიკოსებმა შექმნეს მეცნიერული თეორია შრომის ნაყოფიერების შესახებ.

ამხანაგ სტალინის ახლახან გამოქვეყნებული გენიალური შრომა — „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ უმნიშვნელოვანეს ეტაპს წარმოადგენს მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში. მასში უდიდესი მეცნიერული სიზუსტით არის გამოკვლეული მატერიალური დოვლათის საზოგადოებრივი წარმოებისა და განაწილების კანონები სოციალისტურ საზოგადოებაში, ნაჩვენებია სოციალისტური ეკონომიკის განვითარებისა და სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის გზები, განსაზღვრულია ამ საქმეში შრომის ნაყოფიერების ზრდის უდიდესი მნიშვნელობა.

მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური მოძღვრების მიხედვით ყოველ სოციალ-ეკონომიკურ ფორმაციას შრომის სხვადასხვა ორგანიზაცია და შრომის ნაყოფიერების სხვადასხვა დონე ახასიათებს. კაპიტალისტურ საზოგადოებაში წარმოების მუშაკები მოკლებული არიან წარმოების საშუალებათა საკუთრებას. მათ არავითარი საკუთრება არა აქვთ, გარდა სამუშაო ძალისა. წარმოების მუშაკი საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვით უკავშირდება კაპიტალისტის საკუთრებაში მყოფ წარმოების საშუალებებს. ამის საფუძველზე ხორციელდება საწარმოო ურთიერთობა, რომელიც ფაქტიურად წარმოადგენს კაპიტალისტთა კლასის მიერ დაქირავებული მუშახელის ექსპლოატაციის ურთიერთობას.

„თანამედროვე კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონის მთავარი ნიშნები და მოთხოვნები, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — შეიძლებოდა დაახლოებით შემდეგნაირად ჩამოყალიბებულიყო: მაქსიმალური კაპიტალისტური მოგების უზრუნველყოფა მოცემული ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობის ექსპლოატაციის, გაჩანაგებისა და გაღატაკების გზით, სხვა ქვეყნების, განსაკუთრებით ჩამორჩენილი ქვეყნების ხალხთა დაკაბალებისა და სისტემატური გაძარცვის გზით, ბოლოს, ომებისა და სახალხო მეურნეობის მილიტარიზაციის გზით, რასაც იყენებენ უმაღლესი მოგების უზრუნველსაყოფად“ (ი. სტალინი, სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში, სახელგამი, 1952 წ., გვ. 42).

კაპიტალისტურ საზოგადოებაში მაქსიმალური მოგების მიღებით გატაცებული მრეწველი-კაპიტალისტი ყოველგვარ ხერხებსა და გზებს იყენებს, რათა მუშას მეტი გამოსწუროს, მეტი მიიღოს მუშის შრომით. კონკურენცია, რომელიც თანდათან ძლიერდება, კაპიტალისტებს აიძულებს გამონახონ წარმოებაში მუშათა შრომის ნაყოფიერების ზრდის გზები. შრომის ნაყოფიერების გადიდებას ისინი აღწევენ არაადამიანური მეთოდების გამოყენებით, რაც გამოიხატება, მაგალითად, კონვეიერის სისწრაფის განვითარებით, მუშის გადაქცევით მანქანის დანამატად და სხვ. ამასთან შრომის ნაყოფიერების ზრდა იქ მუშათა ხელფასის ზრდას კი არ იწვევს, არამედ, პირიქით, შეფარდებითს შემცირებას.

ვ. ი. ლენინი სტატიაში—„ტეილორის სისტემა ადამიანის დამონებაა მანქანის მიერ“—ცხადყოფს ტეილორის სისტემის ცრუმეცნიერულობას, კაპიტალისტურ სამრეწველო საწარმოში შრომის ნაყოფიერების ზრდასთან ერთად მუშათა საშუალო ხელფასის შეფარდებითი შემცირების საკითხს. შრომის ნაყოფიერება ოთხჯერ იზრდება, განსარტავს ლენინი, „მაგრამ ხელფასს მუშას ერთიოთხად კი არ უმატებენ, არამედ, დიდი-დიდი — ერთნახევარჯერ, ისიც **მხოლოდ პირველ ხანებში.** რაწამს მუშები ახალ სისტემას მიეჩვევიან, ხელფასსაც კვლავ წინანდელ დონემდე უმცირებენ. კაპიტალისტი უდიდეს მოგებას იღებს, მუშა კი ოთხჯერ უფრო ინტენსიურად შრომობს, ოთხჯერ უფრო სწრაფად ქანცავს თავის ნერვებსა და კუნთებს“ (ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 20, გვ. 177).

კაპიტალისტურ მრეწველობაში ყოველგვარი პროგრესი ტექნიკაში და ყოველგვარი ახალი გაუმჯობესება მუშის საწინააღმდეგოდ ხდება. ეს გაუმჯობესებანი იწვევენ მუშის კიდევ უფრო გაღატაკებასა და დამონებას. ვ. ი. ლენინი ამის შესახებ შენიშნავს, რომ „შრომას ფაბრიკის შიგნით კაპიტალი აწყობს და აწესრიგებს მუშის კიდევ უფრო დასაჩაგრავად, თავისი მოგების გასადიდებლად. ხოლო მთელ საზოგადოებრივ წარმოებაში რჩება და იზრდება ქაოსი, რაც იწვევს კრიზისებს, როდესაც დაგროვილი სიმდიდრე ვერ ნახულობს მყიდველებს, მუშები კი მილიონობით იღუპებიან და შიმშილობენ, რადგან სამუშაოს ვერ შოულობენ“ (იქვე, გვ. 178).

წარმოების საშუალებათა კერძო საკუთრება იწვევს იმას, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალები ვითარდება სტიქიურად, ქაოსურად, გეგმაზომიერი განვითარების გარეშე.

წინააღმდეგ კაპიტალისტურისა, სოციალისტურ საზოგადოებაში წარმოების საშუალებებზე დამყარებული საზოგადოებრივი საკუთრება და საწარმოო ძალთა განვითარება ხდება გეგმაზომიერად.

საბჭოთა საზოგადოებაში საწარმოო ურთიერთობის სოციალისტური ბუნების შედეგად შრომა ღირსებისა და სიმამაცის საქმედ არის გადაქცეული. შრომის სოციალისტური ფორმები: სოციალისტური შეჯიბრება, დამკვრელობა, სტახანოვური მოძრაობა მშრომელი მასების სისხლხორცეული საქმეა.

ამხანაგი სტალინი პარტიის XVI ყრილობაზე, ეხებოდა რა სოციალისტური შეჯიბრების მნიშვნელობას, აღნიშნავდა, რომ „შეჯიბრებაში ყველაზე შესანიშნავი ის არის, რომ იგი ძირეულ გარდატეხას ახდენს ადამიანთა შეხედულებაში შრომაზე, ვინაიდან იგი შრომას სათაკილო და მძიმე ტვირთისაგან, რადაც ის წინათ მიაჩნდათ, აქცევს **ღირსების საქმედ, დიდების საქმედ, მამაცობისა და გმირობის საქმედ.** ამის მსგავსი არაფერია და არც შეიძლება იყოს კაპიტალისტურ ქვეყნებში“ (ი. ბ. სტალინი, თხზ., ტ. 12, გვ. 342-343).

აქედან ნათელია, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური შეჯიბრების გაშლას და მის ფართოდ დანერგვას მშრომელთა მილიონიან მასებში. სოციალისტური შეჯიბრება და მისი უმაღლესი ფორმა—სტახანოვური მოძრაობა შრომის ნაყოფიერების ზრდის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს. შრომის ნაყოფიერების ამაღლებას კი განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალისტურ საზოგადოებაში.

ამხანაგი სტალინი არაერთხელ აღნიშნავდა სსრ კავშირის ძირითადი ეკონომიკური ამოცანის გადაწყვეტის საქმეში შრომის ნაყოფიერების ზრდის უდიდეს მნიშვნელობას. „თუ შრომის ნაყოფიერება სისტემატურად არ გაიზარდა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — როგორც მრეწველობის დარგში, ისე სოფლის მეურნეობის დარგში, ჩვენ ვერ გადავჭრით რეკონსტრუქციის ამოცანებს, ვერ შევძლებთ არათუ დავეწიოთ და გავუსწროთ მოწინავე კაპიტალისტურ ქვეყნებს, არამედ იმასაც კი, რომ დამოუკიდებელი არსებობა შევინარჩუნოთ. ამიტომ შრომის ნაყოფიერების ზრდის პრობლემას ჩვენთვის უპირველესი მნიშვნელობა აქვს“ (თხზ., ტ. 12, გვ. 357-358).

ამხანაგ სტალინის ისტორიული მითითებანი ტექნიკური კადრების მომზადებისა და სტახანოვური მოძრაობის მნიშვნელობის შესახებ, წარმოადგენენ სოციალისტური მრეწველობის მუშაკთა სახელმძღვანელო პროგრამას შრომის ნაყოფიერების ახალი მძლავრი აღმავლობის მისაღწევად.

პირველი და მეორე სტალინური ხუთწლედების მანძილზე მიღწეულ უდიდეს გამარჯვებებში, რაც ქვეყნის ეკონომიკურ და სამხედრო ძლიერების გრანდიოზული ზრდით აღინიშნა, შრომის ნაყოფიერების ზრდა ერთ-ერთ მთავარ როლს ასრულებდა.

ომმა, რომელიც გერმანელმა ფაშისტმა დამპყრობლებმა ყაჩაღურად თავს მოახვიეს ჩვენს ქვეყანას, შეწყვიტა მესამე სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულების წარმატებით მსვლელობა. მაგრამ ომის პერიოდში უმაგალითო ძალით გამოვლინდა ჩვენი ქვეყნის მშრომელთა შემოქმედებითი ძალა და უშრეტი ენერგია, რამაც განაპირობა ძლევამოსილი საბჭოთა არმიის გამარჯვება მტერზე.

ომის შემდგომ, მეოთხე სტალინურ ხუთწლედში, ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობით ახალი ძალით გაიშალა საბჭოთა ადამიანების ბრძოლა შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის, საბრუნავი სახსრების ბრუნვის დაჩქარებისა, წარმოებაში კომპლექსური ეკონომიის მიღწევისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის. მოწინავე საწარმოთა კოლექტივები, გამოდიოდნენ რა პატრიოტული თაოსნობით, თავიანთ მრავალრიცხოვან წინადადებათა წარმატებით განხორციელებით განუხრელად ზრდიდნენ შრომის ნაყოფიერებას.

შრომის ნაყოფიერების ზრდაზე მოქმედი ფაქტორების გამოვლინება და შესწავლა, წარმოებაში მათი დანერგვა იწვევს წარმოების ხარჯების შემცირებას პროდუქციის ერთეულზე და, მაშასადამე, პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასაც.

• • •

მარქსიზმის კლასიკოსთა ნაშრომებში მეცნიერულად არის ჩამოყალიბებული და განზოგადებული შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედი ფაქტორები. კ. მარქსის განმარტებით, „შრომის ნაყოფიერება მრავალნაირი გარემოებით განისაზღვრება, — სხვათა შორის მუშის საშუალო დახელოვნებით, მეცნიერების განვითარებისა და მისი ტექნოლოგიური გამოყენების დონით, წარმოების პროცესის საზოგადოებრივი ორგანიზაციით, საწარმოო საშუალებათა მოცულობით და სამოქმედო უნარით და აგრეთვე ბუნებრივი პირობებით“ (კ. მარქსი. „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 8).

მარქსიზმ-ლენინიზმი გვასწავლის, რომ მთელ სახალხო მეურნეობაში შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედი ფაქტორები შეიძლება დაიყოს სამ კატეგორიად: 1. მატერიალურ-ტექნიკური ფაქტორები, 2. სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორები და 3. ბუნებრივ მოვლენებთან დაკავშირებული ფაქტორები.

შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედი ფაქტორები შეისწავლება, როგორც მთელი სახალხო მეურნეობის, ისე მასში შემავალი ცალკეული დარგების, ქვედარგებისა და საწარმოების მიხედვით.

სოციალისტურ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერებაზე მოქმედი ფაქტორები ასე შეიძლება დავაჯგუფოთ: 1. მოწყობილობის ხასიათსა და მის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტორები, 2. ნედლეულისა და მასალის გამოყენებასთან დაკავშირებული ფაქტორები და 3. შრომის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ფაქტორები. პირველ ჯგუფს ეკუთვნის: ა) ახალი, გაუმჯობესებული კონსტრუქციის იარაღ-მანქანების დანერგვა წარმოებაში; ბ) საწარმოო პროცესების მექანიზაცია-ავტომატიზაცია; გ) მოწყობილობა-დანადგართა მოვლისა და რემონტის გაუმჯობესება.

ფაქტორების მეორე ჯგუფში შედის: ა) ნედლეულის, მასალისა და სათბობის ხარისხი; ბ) ნედლეულისა და მასა-

რედაქციის ფოსტიდან

## ორი პასუხი ერთ სიგნალზე

მიმდინარე წლის 7 აგვისტოს „კომუნისტის" რედაქციაში შემოვიდა მკითხველის წერილი, რომელიც ამხილებდა წულუკიძის რაიონის სოფელ გორდის მცხოვრებ ნ. ბობოხიძის ბოროტმოქმედებას. წერილი შესამოწმებლად და ზომების მისაღებად გადაეგზავნა ქუთაისის ოლქის პროკურორს ამხ. რეხვიაშვილს. ფაქტის ადგილზე შემოწმება და დაზუსტება ამხ. რეხვიაშვილმა წულუკიძის რაიონის პროკურორს დაავალა.

გავიდა თვეები...

როგორც იქნა, რედაქციამ მიიღო პასუხი.

წულუკიძის რაიონის პროკურორმა ამხ. ხურცილავამ რედაქციას აცნობა, რომ სათანადო ექსპერტიზის და ოპერატიული კვლევა-ძიების შედეგად მოქალაქე ნ. ბობოხიძის მიმართ წაყენებული ბრალდება არ დადასტურდა. ამიტომ „ჩვენს მიერ, — გვწერს პროკურორი, — გამოტანილი იქნა სისხლის სამართლის დევნის არ აღძვრის (სტილი დაცულია.—რედ.) დადგენილება".

დამნაშავე ნ. ბობოხიძის ბოროტმოქმედების შესახებ ამ დღეებში მიღებულ იქნა ცნობა მილიციის რესპუბლიკური სამმართველოდანაც. როგორც ამ ცნობიდან ჩანს, მილიციის ორგანოებმა ადგილზე დაწვრილებითი კვლევა-ძიება ჩაატარეს. მილიციის ორგანომ, ნათქვამია ამ ცნობაში, აგრეთვე „შეასრულა წულუკიძის რაიონის პროკურორის ამხ. ხურცილავას მითითებანი მისივე მონაწილეობით". ბოროტმოქმედ ნ. ბობოხიძის მიმართ წაყენებული ბრალდება დადასტურდა. ამხ. ხურცილავას სანქციითვე ბოროტმოქმედი ნ. ბობოხიძე პასუხისგებაში იქნა მიცემული.

ასეთია ორი პასუხი ერთ სიგნალზე.

როგორც აღნიშნული ფაქტიდან ჩანს, პროკურორმა ხურცილავამ სრული უპასუხისმგებლობა გამოიჩინა მკითხველის სიგნალისადმი და რედაქციას ვალის მოსახდელად ბიუროკრატიული, არასწორი პასუხი მოსწერა. ეს, სხვათა შორის, ნათლად მოწმობს მისი, როგორც პროკურორის მუშაობის ხარისხს.

## დახმარება სამამულო ომის ინვალიდებსა და ომში დაღუპულ მეომართა ოჯახებს

წალკა. (საკ. კორ.). მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ მიმდინარე წლის ათი თვის განმავლობაში სამამულო ომის ინვალიდებსა და ომში დაღუპულთა ოჯახებს მისცა 436.300 მანეთი პენსიის სახით, ხოლო ერთდროული დახმარების სახით—7.300 მანეთი.

სამამულო ომის I ჯგუფის ინვალიდს თევდორე კუიმჩიევს მიეცა საგზური კურორტ ბორჯომში და ერთდროული დახმარება. სოფელ ნარდევანის მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობამ სამამულო ომში დაღუპული მ. ელოიანის ოჯახს კაპიტალურად შეუკეთა საცხოვრებელი სახლი. სახლები შეუკეთეს აგრეთვე ო. პეტროსიანს (სოფ. დაშბაში), ე. სურნაჩიანს და სხვებს.

სოციალური უზრუნველყოფის რაიონული განყოფილების დახმარებით კვალიფიკაცია აიმაღლეს და შესაფერ სამუშაოზე გაიგზავნენ სამამულო ომის ინვალიდები მ. კარსლიევი, ვ. ბაღდასარიანი, გულბეკიანი და სხვები.

## დავიცვათ ხეხილის ბაღები მავნებლებისაგან

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობაში მეხილეობას ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავს. მეხილეობა ბევრი რაიონის კოლმეურნეობებს დიდ შემოსავალს აძლევს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის XV ყრილობაზე ამხანაგმა ა. ი. მგელაძემ თქვა: „ხეხილის ბაღების მოვლა ისე უნდა დავაყენოთ, რომ უახლოეს ორ-სამ წელიწადში მკვეთრად გავადიდოთ მათი მოსავლიანობა და საშუალოდ ჰექტარზე მივიღოთ სულ ცოტა 50 ცენტნერი ხილი.

მეხილეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის სიამაყეს წარმოადგენს. მას რაც შეიძლება მეტი ყურადღება უნდა მივაქციოთ".

ამ ამოცანის წარმატებით შესრულება გვავალებს მკვეთრად გავაუმჯობესოთ ხეხილის ბაღების დამუშავება, უზრუნველვყოთ აგროტექნიკურ ღონისძიებათა ზუსტად და მაღალხარისხოვნად განხორციელება, მივაღწიოთ მკვეთრ გარდატეხას მუშაობაში.

ხეხილის ბაღების მოვლის აგროტექნიკურ ღონისძიებათა შორის მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მავნებლებთან და დაავადებებთან ბრძოლას, ამ საქმის სწორად მოწყობას და ჩატარებას. საჭიროა მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ მავნებლები და ავადმყოფობანი არათუ ველარ ვრცელდებოდეს, არამედ მოისპოს მათი გავრცელების კერები, ადგილი აღარ ჰქონდეს ნარგავებისა და ნაყოფის დაზიანებას.

ხეხილის მავნებლებიდან ჩვენში დიდი ზიანი მოაქვს კერძოდ კალიფორნიის ფარიანას. იგი აზიანებს ვაშლს, მსხალს, ატამს და სხვ. ფარიანა სწრაფად მრავლდება და წელიწადში 3-4 თაობას იძლევა. მავნებელი ადვილად ეგუება კლიმატურ პირობებს, დიდ ყინვას და სიცხესაც. ფარიანა აზიანებს მცენარის ყველა ნაწილს, ემაგრება შტამბს, ტოტს, ყლორტს, ნაყოფს, ფოთოლს, იკეთებს ფარს და თავისი სიცოცხლის მანძილზე მცენარის წვენით იკვებება. მასობრივი გამრავლების შემთხვევაში ამ მავნებლით მთლიანად იფარება მცენარის თითქმის ყველა ნაწილი, ხეზე კეთდება მთლიანი ფარი ანუ ქერქი, რაც აღარ იძლევა მცენარის ნორმალური განვითარების საშუალებას, რამდენიმე წელიწადში ხე ხმება. ამ მავნებლით დაზიანებული მცენარე ყოველთვის მცირე და დაბალი ხარისხის მოსავალს იძლევა.

ფარიანას წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლისათვის საჭიროა ჩატარდეს შემდეგი ღონისძიებანი: ყველა გამხმარი ან მეტისმეტად დაზიანებული ნარგავები ამოვძირკვოთ და დავწვათ, ფარიანით დასენიანებულ ხეებს შევაჭრათ შემხმარი ტოტები, უნდა ამოვძირკვოთ აგრეთვე ბაღებში არსებული ბუჩქნარები, შევაგროვოთ და დავწვათ სარეველა მცენარეები და ჩამოცვენილი ფოთლები, შემხმარი ქერქისაგან გავასუფთაოთ შტამბი და ტოტები, შევაგროვოთ და მოვსპოთ აგრეთვე მავნებელთა ბუდეები.

აღნიშნულ ღონისძიებათა გატარების შემდეგ ხეხილს მინერალური ზეთების კონცენტრატის ოთხპროცენტიანი ემულსია უნდა შევასხუროთ. ეს სამუშაო ეწყობა გვიან შემოდგომაზე, ფოთლების მთლიანად ჩამოცვენის შემდეგ—ადრე გაზაფხულამდე ანუ კვირტების გაშლის დაწყებამდე. ზეთების ემულსიის შესხურებისას ჰაერის ტემპერატურა 5 გრადუსზე დაბალი არ უნდა იყოს. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესხურების ხარისხს. მცენარის მცირე ნაწილიც კი არ უნდა დარჩეს დაუსველებელი. ფარიანათი ძლიერ დასენიანებულ ბაღებში ზეთების ემულსიის შესხურება გაზაფხულზე უნდა გამეორდეს. ეს ხელს შეუწყობს ნარგავების განთავისუფლებას სხვა მავნებლებისაგან.

როგორც წესი, წამლობა ეწყობა მხოლოდ წყნარ ამინდში. ქარის ან წვიმის შემთხვევაში შესხურება სასურველ შედეგს ვერ მოგვცემს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს შესხურების ტექნიკას. შესასხურებლად გამოიყენება აპარატები — „ავტომაქსი", „პომონა", „პიონერი" და ტრაქტორზე მისაბმელები. ახალგაზრდა ნარგავების შესასხურებლად უმჯობესია „ავტომაქსი", რომელსაც მსხმოიარე და მაღალტანიანი ხეებისათვის გრძელი მილი უკეთდება. ეს მილები საკმაო რაოდენობით მოიპოვება საქართველოს სოფლმომარაგების საწყობებში. მაღალი ხეების შეწამვლის დროს გამოყენებულ უნდა იქნას აგრეთვე სპეციალური დასადგამი კიბეები, რაც გააადვილებს ხის ყველა ნაწილის მთლიანად შესხურებას.

კალიფორნიის ფარიანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა მაღალი ხარისხით და დროზე ჩატარების საქმეში მთავარი როლი უნდა შეასრულონ მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა, რომლებიც აღჭურვილი არიან ტრაქტორზე მისაბმელი და ძრავიანი აპარატებით. ეს აპარატები უზრუნველყოფს ხეხილის ბაღებში წამლობის მოკლე ვადაში და მაღალხარისხოვნად განხორციელებას. მტს-ებმა მთელი მონდომებით უნდა მოჰკიდონ ხელი ამ საქმეს.

მტკიცედ უნდა გვახსოვდეს, რომ სამუშაოს შესრულების ეფექტიანობა დამოკიდებულია აგრეთვე შესასხურებელი ზეთოვანი კონცენტრატის (ემულსიის) მომზადების ხარისხზე, ამიტომ საჭიროა ზუსტად ვიხელმძღვანელოთ ინსტრუქციით გათვალისწინებული ყველა წესით.

ამჟამად რაიონები უზრუნველყოფილი არიან ზეთოვანი ემულსიის კონცენტრატით, აპარატურით და სათანადო კადრებით. საჭიროა სოფლის მეურნეობის ორგანოებმა, აგროპერსონალმა, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, მებაღეობის ბრიგადირებმა გულდასმით მოჰკიდონ ხელი ფარიანას წინააღმდეგ ბრძოლის ამ ფრიად მნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელებას.

პ. ოდიშარია,
საქართველოს სსრ ტექნიკური კულტურების სამინისტროს მცენარეთა დაცვის განყოფილების უფროსი.

## გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის VII სესია

### პოლიტიკურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკდესი). პოლიტიკურ კომიტეტში გრძელდება კორეის საკითხის განხილვა. გუშინდელ სხდომაზე გამოვიდნენ პოლონეთის წარმომადგენელი მ. ნაშკოვსკი და ინდოეთის წარმომადგენელი კრიშნა მენონი.

პოლონეთის წარმომადგენელმა მწუხარება გამოთქვა იმის გამო, რომ, თუმცა მთელი რიგი დელეგაციები თავიანთ გამოსვლებში დაზავებას და საომარი მოქმედების შეწყვეტას უჭერენ მხარს, მაგრამ კორეის საკითხის განხილვამ პირველ კომიტეტში დღემდე ვერ შეუწყო ხელი კორეაში ვერც საომარი მოქმედების შეწყვეტას, ვერც ომის დასასრულის მოახლოებას. მან კომიტეტის ყურადღება მიაქცია გენერალური ასამბლეის თავმჯდომარისათვის გაგზავნილ ა. წ. 8 ნოემბრის დეპეშას, რომელშიც კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი პაკ ხენ ენი იუწყება, რომ ამერიკელი აგრესორები უმაგალითო დანაშაულს სჩადიან სამოქალაქო მოსახლეობის წინააღმდეგ, და მოითხოვს მიღებულ იქნას ღონისძიებანი ამ ბარბაროსული მოქმედების აღკვეთისათვის.

ნაშკოვსკი დაწვრილებით შეეხო იმის ნამდვილ მიზეზებს, რომ ამერიკის მხარე მოლაპარაკებაში სულ ახალ-ახალ საბაბს მიმართავდა იმისათვის, რომ შეეწყვიტა, გაეჭიანურებინა, გაეხანგრძლივებინა მოლაპარაკება და ჩიხში მოექცია იგი. მან აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნა, რომ სამხედრო ტყვეთა ეგრეთწოდებული „ნებაყოფლობითი რეპატრიაციის" საკითხი ხელოვნურად წამოაყენეს მაშინ, როცა მოლაპარაკებაში კორეა-ჩინეთის მხარის მოთმინებისა და დათმობის მეოხებით ამერიკის შეერთებული შტატების ყველა საწინააღმდეგო მოსაზრება დაძლეული იყო.

ამერიკის წარმომადგენლებმა, განაცხადა პოლონეთის დელეგატმა, ეგრეთწოდებული ნებაყოფლობითი რეპატრიაციის საკითხი მხოლოდ მაშინ წამოაყენეს, როცა მათ უკვე აღარ ჰყოფნიდათ საბაბი დაზავების შესახებ მოლაპარაკების საბოტაჟისათვის და მოისურვეს შეენიღბათ თავიანთი ჯიუტობა.

პოლონეთის წარმომადგენელი დაწვრილებით შეეხო ჟენევის კონვენციას, ამასთან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის პოზიცია სამხედრო ტყვეთა საკითხში აშკარად ეწინააღმდეგება ჟენევის კონვენციის პრინციპებს. კორეის კონფლიქტის სწორად და სამართლიანად გადაჭრაზე ლაპარაკიც კი არ შეიძლება, თუ სწორად და სამართლიანად არ გადაიჭრა სამხედრო ტყვეთა საკითხი, თქვა მ. ნაშკოვსკიმ. მხოლოდ ისეთ დადგენილებას, რომელიც სავსებით ითვალისწინებს სამხედრო ტყვეთა ინტერესებს და უზრუნველყოფს ამ ინტერესებს საერთაშორისო სამართლის მოქმედი პრინციპების შესაბამისად, შეუძლია მოგვცეს კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგება და იმის გარანტია, რომ კორეის ტერიტორია ახალი ომის ასპარეზი არ გახდება. ამერიკის სარდლობის ხელში სამხედრო ტყვეების დატოვება, რომლებიც ამერიკის მთავრობის სრულ განკარგულებაში იქნებიან, შექმნის ახალი შემდგომი კონფლიქტებისა და პროვოკაციების საფრთხეს და ეწინააღმდეგება ჰუმანურობის პრინციპებს. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის ტენდენცია — დააკავოს ტყვეები, ის პრაქტიკა, რომ გადაიბიროს და გამოიყენოს ისინი მათი საკუთარი ხალხისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ დივერსიებისათვის, ახალი როდია და მას ამერიკელი ხელისუფალნი პირველად როდი იყენებენ კორეაში.

სიტყვის დასკვნით ნაწილში პოლონეთის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა კორეელ სამხედრო ტყვეთა პრობლემას კვლავ იყენებს როგორც საბაბს, რათა არ დაუშვას, რომ გენერალურმა ასამბლეამ მიიღოს გადაწყვეტილებანი კორეის კონფლიქტის სამართლიანად გადაჭრისათვის.

მტკიცედ დაუჭირა რა მხარი საბჭოთა რეზოლუციის პროექტს, ნაშკოვსკიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა წინადადებანი შეესაბამებიან საერთაშორისო სამართალს და კორეელი ხალხის ნებას, აგრეთვე ქმნიან იმის შესაძლებლობას, რომ მომავალში უზრუნველყოფილ იქნას მშვიდობა კორეის გაერთიანების შედეგად. კომისიის შემადგენლობა, რომელსაც საბჭოთა რეზოლუცია ითვალისწინებს, იმის გარანტიაა, რომ კომისიის გადაწყვეტილებანი გამოხატავენ გენერალური ასამბლეის აზრსა და საერთაშორისო სამართლის მოთხოვნებს, რადგან კომისიაში შედიან როგორც კონფლიქტის მონაწილე სახელმწიფოები, ისე ის სახელმწიფოებიც, რომლებიც კონფლიქტში არ იღებენ მონაწილეობას. საბჭოთა რეზოლუციის მიღებით გენერალური ასამბლეა დააჩქარებდა არა მარტო საომარი მოქმედების შეწყვეტას, არამედ აგრეთვე კორეის პრობლემის სრულ მოწესრიგებას.

ინდოეთის წარმომადგენელმა კრიშნა მენონმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მოუწოდა მოაწესრიგოს კორეის საკითხი, მიაღწიოს მშვიდობას კორეაში და კორეის გაერთიანებას და ხაზგასმით აღნიშნა: ის გარემოება, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სხდომებს არ ესწრებიან ჩინეთის კანონიერი წარმომადგენელნი, მნიშვნელოვნად აბრკოლებს კორეის პრობლემის გადაჭრასო.

კრიშნა მენონმა განაცხადა, რომ კომიტეტის განსახილველად შეაქვს თავისი რეზოლუციის პროექტი, ითვალისწინებს რა, რომ კორეის კონფლიქტის ორივე მხარეს სურს საომარი მოქმედების შეწყვეტა. ინდოეთის რეზოლუციის პროექტის მიზანია, თქვა მან, სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხში „სხვადასხვა თვალსაზრისის შეთანხმება".

რეზოლუციის პროექტი, რომელიც ინდოეთის დელეგაციამ შეიტანა პირველი კომიტეტის განსახილველად, მოითხოვს შეიქმნას სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის კომისია ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, შვეციისა და შვეიცარიის წარმომადგენელთა შემადგენლობით. სხდომების დაწყების შემდეგ არაუგვიანეს სამი კვირისა ამ კომისიამ უნდა აირჩიოს მეხუთე წევრი—შუამავალი. ამ კომისიის განკარგულებაში უნდა გადავიდეს ყველა სამხედრო ტყვე, რომლებიც შემდეგ რეპატრიირებულ უნდა იქნან. იმ სამხედრო ტყვეთა საკითხი, რომლებსაც 90 დღის განმავლობაში არ დააბრუნებენ სამშობლოში, უნდა გადაწყვიტოს პოლიტიკურმა კონფერენციამ, რომლის მოწვევა გათვალისწინებულია დაზავების შესახებ შეთანხმების პროექტით, რომელიც მხარეებმა შეათანხმეს პანმინჯონის მოლაპარაკების დროს.

ინდოეთის რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „მნიშვნელოვან დონეს მიაღწია შეთანხმებამ იმ პრინციპების გამო, რომელთა საფუძველზე ეს საკითხი, რომელიც მხარეთა დავას იწვევს (ესე იგი სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხი), შეიძლება გადაიჭრას". მაგრამ, როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია და ზოგიერთი სხვა იმ ქვეყნის წარმომადგენელნი, რომელნიც მხარს უჭერენ ამერიკის აგრესიას კორეაში, კვლავ ემხრობიან ამერიკის სარდლობას, რომელიც უარს ამბობს ყველა სამხედრო ტყვის სამშობლოში დაბრუნებაზე, ამართლებენ ამერიკელ ხელისუფალთა მოქმედებას, მაშინ როცა ისინი ფეხქვეშ თელავენ საერთაშორისო სამართალს, რომელიც მოითხოვს საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ ყველა სამხედრო ტყვის დაუყოვნებლივ დაბრუნებას სამშობლოში.

ხაზგასმით აღნიშნა რა, რომ ჟენევის 1949 წლის კონვენციის თანახმად კორეის ომის მონაწილე მხარეებმა და[illegible] უნდა დააბრუნონ სამშობლოში სამხედრო ტყვეები საომარი მოქმედების დამთავრების შემდეგ და რომ საერთაშორისო სამართლით აკრძალულია სამხედრო ტყვეების ძალდატანებით დაკავება, ინდოეთის წარმომადგენელმა ამავე დროს აღიარა, რომ შეიძლება შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, როცა სამშობლოში არ იქნება დაბრუნებული ყველა სამხედრო ტყვე. ინდოეთის დელეგატის ახსნა-განმარტებიდან ცხადი გახდა აგრეთვე, რომ სამხედრო ტყვეების რეპატრიაციის რთული პროცედურის წესების შესრულებისას, რომლებსაც რეზოლუციის პროექტი ითვალისწინებს, არ არის გამორიცხული, რომ რეპატრიაციის საკითხი კვლავ დაისმება გენერალური ასამბლეის განსახილველად, ხოლო თვით სამხედრო ტყვეებს დააკავებენ ბანაკებში.

რეზოლუციის პროექტში ნათქვამია, რომ „სამხედრო ტყვეების მიმართ არ შეიძლება ძალის გამოყენება არც იმისათვის, რომ თავიდან აიცილონ მათი სამშობლოში დაბრუნება და არც იმისთვის, რომ აიძულონ ისინი სამშობლოში დაბრუნდნენ".

ამრიგად, ინდოეთის რეზოლუციის პროექტი იმეორებს ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაციის განცხადებას ყბადაღებული „იძულებითი რეპატრიაციის" შესახებ, თუმცა ცნობილია, რომ რაღაც „იძულებითი რეპატრიაციის" შეუწყნარებლობაზე ლაპარაკით ამერიკის სარდლობა ნიღბავს თავის განზრახვას ძალით დააკავოს სამხედრო ტყვეები.

ნიუ-იორკის გაზეთები გამოყოფენ ინდოეთის რეზოლუციის სწორედ ამ სიტყვებს, ხაზგასმით აღნიშნავენ რა, რომ ახალი პროექტი, როგორც, მაგალითად, დღეს წერს „ნიუ-იორკ ტაიმსი", „ეთანხმება ამერიკის რეზოლუციის პროექტის პრინციპებს".

ამავე დროს ამერიკის გაზეთები ილაშქრებენ ინდოეთის იმ წინადადების წინააღმდეგ, რომელიც ითვალისწინებს კომისიის შექმნას ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, შვეციისა და შვეიცარიის შემადგენლობით. ამერიკის პრესას მიუღებლად მიაჩნია აგრეთვე ინდოეთის რეზოლუციის პროექტის პუნქტი, რომლის თანახმად 90 დღის შემდეგ სამხედრო ტყვეების სამშობლოში დაბრუნების საკითხი გადასაწყვეტად უნდა გადაეცეს პოლიტიკურ კონფერენციას.

ინდოეთის წარმომადგენლის სიტყვა მოწმობს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ბევრი დელეგაცია სერიოზულად შეაშფოთა კორეის საკითხის გადაჭრის გაჭიანურების ამერიკელთა ტაქტიკამ, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი ზეგავლენას ახდენს მთელი რიგი ქვეყნების წარმომადგენლებზე, რომლებიც იძულებული არიან ამა თუ იმ ფორმით გამოვიდნენ ამერიკის რეზოლუციის პროექტის წინააღმდეგ. ჟურნალი „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტი" აღნიშნავს, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში „ძლიერდება კრიტიკა ამერიკის შეერთებული შტატების მიმართ". სამხედრო ტყვეთა რეპატრიაციის საკითხზე ინდოეთის დელეგაციის მიერ რეზოლუციის ახალი პროექტის შეტანამ გააძლიერა უთანხმოება ამერიკის შეერთებულ შტატებსა და მათ მოკავშირეებს შორის.

ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ არც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია, არც ინგლისის დელეგაცია სესიაზე არ იჩენს აქტივობას თავიანთი პოზიციების დაცვაში და ამას ყოველი ღონით ცდილობს გენერალური ასამბლეის გარეთ, ფარული მოლაპარაკების დროს და კომბინაციების გზით. არც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია და არც ინგლისის დელეგაცია დღემდე არაფრით არ გამოხმაურებიან პირველ კომიტეტში საბჭოთა კავშირის დელეგაციის მეთაურის, აგრეთვე უკრაინის სსრ, ბელორუსიის სსრ, პოლონეთისა და ჩეხოსლოვაკიის დელეგაციების მეთაურთა უკანასკნელ გამოსვლებს.

## ელიზაბეტ ფლინის მამაცური ქცევა სასამართლოში

ნიუ-იორკი, 20 ნოემბერი. (საკდესი). 19 ნოემბერს ნიუ-იორკში ფოლი-სკვერის სასამართლოში ფედერალურმა მოსამართლემ დიმოკმა გასცა ბრძანება საპატიმროში ჩაესვათ ამერიკის შეერთებული შტატების კომუნისტური პარტიის თვალსაჩინო მოღვაწე ელიზაბეტ ფლინი იმის გამო, რომ მან უარი თქვა პასუხი გაეცა კითხვებზე იმ პირთა შესახებ, რომლებიც ბრალდებამ ჩამოთვალა დაკითხვის მსვლელობაში.

გაზეთი „დეილი უორკერი" იუწყება, რომ 18 ნოემბერს ბრალმდებელმა დაიწყო გვარების გრძელი სიის კითხვა და მოითხოვა, რათა ფლინს ეღიარებინა, რომ ისინი კომუნისტები ან კომუნისტური პარტიის აპარატის მუშაკები არიან. ფლინმა განაცხადა: იმ პირთა წინააღმდეგ, რომლებსაც კომუნისტებს უწოდებენ, დისკრიმინაციას რომ არ მიმართავდნენ, მათ რომ არ ართმევდნენ მუშაობის უფლებას და მათ რომ არ სდევნიდეს ფბრ (ამერიკის საიდუმლო პოლიცია), მაშინ ასეთ კითხვებზე ვუპასუხებდი, რადგან კომუნისტები თავიანთი პარტიულობით ამაყობენო. „მაგრამ ახლანდელ ვითარებაში,— თქვა ფლინმა, — მე მეტს ვერაფერს ვიტყვი".

19 ნოემბერს ფლინმა კვლავ კატეგორიულად განაცხადა უარი ეპასუხნა ასეთ კითხვებზე.

---

ლის პირველადი დამუშავების გაუმჯობესება; გ) ნედლეულის, მასალისა და სათბობის ახალი სახეების გამოყენება.

წარმოებისა და შრომის ორგანიზაციასთან დაკავშირებული ფაქტორების მესამე ჯგუფში შედის: ა) მუშათა მატერიალურ-საბინაო პირობებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება; ბ) საწარმოო პროგრამის მოცულობა და შიდასაქარხნო დაგეგმვის ორგანიზაცია; გ) წარმოების სპეციალიზაცია და კოოპერირება; დ) წარმოების უწყვეტი, ნაკადური მეთოდის დანერგვა; ე) შრომის სოციალისტური ორგანიზაცია; ვ) სამუშაო დროის ორგანიზაცია; ზ) ხელფასის ორგანიზაცია; თ) მუშების კვალიფიკაცია და მუშახელის შედგენილობა.

სტალინური ხუთწლედების მანძილზე გაწეულია დიდი მუშაობა სოციალისტური მრეწველობის ტექნიკური ბაზის შექმნა-განმტკიცებისათვის; ტექნიკური ბაზის განმტკიცება კი, როგორც ვთქვით, შრომის ნაყოფიერების ზრდის მტკიცე საფუძველს წარმოადგენს.

ახალი მოწინავე ტექნიკის დანერგვამ და ამის საშუალებით შრომატევად სამუშაოთა მექანიზაციამ მრეწველობის ისეთ მნიშვნელოვან დარგებში, როგორიც არის მანქანათმშენებლობა, ქვანახშირის მოპოვება, ხე-ტყის დამზადება და სხვ., უზრუნველყო შრომის ნაყოფიერების მძლავრი ზრდა.

განსაკუთრებით დიდი წარმატებანი მრეწველობაში მოპოვებულ იქნა ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედში ახალი, ტექნიკურად სრულყოფილი იარაღ-მანქანების დანერგვით. ხუთწლედის მანძილზე მრეწველობაში ტექნიკური შეიარაღება დაახლოებით ერთნახევარჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

1950 წლის ბოლოსათვის მექანიზმების პარკი სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობაში დაახლოებით 3-4-ჯერ გაიზარდა ომამდელ დონესთან შედარებით. შრომატევადი პროცესების მექანიზაციის მიზნით ფართო მასშტაბით ინერგება შახტებში ახალი, უფრო სრულყოფილი ელექტრომავლები და მაღალნაყოფიერი ტრანსპორტიორები, მძლავრი საყელავი მანქანები, ქვანახშირსატვირთავი და ქანსატვირთავი მანქანები და სხვ. მექანიზაციის განუხრელი ზრდა ქვანახშირის მრეწველობაში საწარმოო პროცესის ყველა სტადიაზე აუმჯობესებს მეშახტეთა შრომის პირობებს და წარმოადგენს მათი შრომის ნაყოფიერების ზრდის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს.

მეტალურგიული ქარხნების საამქროებში ძირითადი შრომატევადი პროცესები მექანიზებული იყო უკვე ომამდელი სტალინური ხუთწლედების განმავლობაში. ნაკლებნაყოფიერი, ხელით შრომა ბრძმედებში და მარტენის ღუმელებში კაზმის ჩატვირთვის სამუშაოებზე, თუჯისა და ფოლადის ჩამოსხმასა და გამოდნობაზე შეცვალეს მაღალნაყოფიერმა მანქანებმა. მეტალურგიული მრეწველობის მუშებს მექანიზაცია უმსუბუქებს მძიმე შრომას და ზრდის შრომის ნაყოფიერებას. ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ სოციალისტური მშენებლობის წლებში მებრძმედეთა შრომის ნაყოფიერება ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა რევოლუციამდელ პერიოდთან შედარებით.

ომისშემდგომ პერიოდში სოციალისტურ მრეწველობაში თავი იჩინა კომუნიზმისათვის დამახასიათებელმა ახალი ტექნიკის ნიშნებმა, განხორციელდა ტექნიკური პროგრესი წარმოების მექანიზაციიდან ავტომატიზაციისაკენ, ავტომატური საჩარხო ხაზებიდან ავტომატიზებული საამქროების, ქარხნებისა და ელექტროსადგურებისაკენ.

სოციალისტურ სამრეწველო საწარმოებში შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის არანაკლები მნიშვნელობა აქვს ნედლეულისა და მასალების გამოყენებასთან დაკავშირებულ ფაქტორებს.

ნედლეულის, მასალისა და სათბობის ხარისხი პირდაპირ გავლენას ახდენს პროდუქციის ხარისხზე. უხარისხო ნედლეული და მასალა ზრდის წარმოების წუნს და ადიდებს პროდუქციის თვითღირებულებას. ახალი, ნაკლებდეფიციტური ნედლეულისა და მასალის გამოყენება ამცირებს წარმოების დანახარჯებს და შესაბამისად — პროდუქციის თვითღირებულებასაც.

შრომის ნაყოფიერების ზრდისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმოებისა და შრომის ორგანიზაციასთან დაკავშირებულ ფაქტორებს.

საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანიზაციულ ფაქტორს წარმოადგენს და იგი სულ უფრო და უფრო მძლავრად იდგამს ფეხს სოციალისტურ მრეწველობაში. მთელი მრეწველობის მასშტაბით სპეციალიზაცია გულისხმობს სამრეწველო საწარმოთა დაჯგუფებას წარმოების ერთგვაროვანი ნიშნის მიხედვით; დანაწილება ხორციელდება ახალი ტექნიკისა და წარმოების გაუმჯობესებული ორგანიზაციის საფუძველზე. პრაქტიკაში განასხვავებენ მრეწველობის სპეციალიზაციის სამ ძირითად ფორმას: 1. საგნობრივი სპეციალიზაცია, 2. საწარმოთა გამოცალკევება მანქანების დეტალებისა და კვანძების დამზადების ნიშნით და 3. საწარმოთა გამოცალკევება წარმოების პროცესის რომელიმე სტადიის შესრულების მიხედვით.

სამრეწველო საწარმოთა სპეციალიზაცია მჭიდრო კავშირშია საწარმოთა კოოპერირებასთან. საწარმოთა სპეციალიზაცია და კოოპერირება აჩქარებს პროდუქციის გამოშვებას, ამცირებს პროდუქციის ერთეულზე აუცილებელ სამუშაო დროს, ხელს უწყობს მუშის დახელოვნებას და საბოლოო ანგარიშით იწვევს შრომის ნაყოფიერების ზრდას.

სოციალისტური მრეწველობის განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი მნიშვნელობა აქვს საწარმოში წარმოების ნაკადური მეთოდის დანერგვას. მანქანათმშენებლობაში წარმოების ნაკადური სისტემის დანერგვამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო დიდი სამამულო ომის წლებში. ამ პერიოდში პრაქტიკულად დადასტურდა წარმოების ნაკადური სისტემის დანერგვის ეფექტიანობა არა მარტო მასობრივ, არამედ სერიულ წარმოებაშიც.

ამ მხრივ დიდი მუშაობა გაიშალა მეოთხე სტალინურ ხუთწლედში. წარმოების ნაკადური სისტემის ფართოდ დანერგვამ ახლებურად დააყენა საკითხი სამუშაო ადგილის ორგანიზაციისა და მომსახურებისა, შრომის ანაზღაურებისა, ოპერატიული დაგეგმვისა, აღრიცხვის, კონტროლისა და სამეურნეო ანგარიშის დანერგვისა ნაკადური წარმოების უბანზე.

წარმოების ნაკადური მეთოდების დანერგვა ახალ, გაზრდილ ვალდებულებას აკისრებს ოსტატს, საწარმოო უბნის ხელმძღვანელს, რადგან ხვითეული სამუშაო ადგილის შრომის ორგანიზაციის დონეზე და სოციალისტური შეჯიბრების მასშტაბზე დამოკიდებულია მთელი საამქროს მუშაობის წარმატება; ამიტომ აუცილებელია ოსტატმა, ისევე როგორც საამქროსა და წარმოების სხვა ხელმძღვანელებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა, იცოდნენ წარმოების ნაკადური სისტემის ორგანიზაციული საფუძვლები და პრაქტიკული გამოცდილებით იმდიდრებდნენ თეორიულ ცოდნას.

წარმოების ნაკადური სისტემის მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ მიღწეულ იქნას დასამუშავებელი საგნის შეუწყვეტელი მოძრაობა სამუშაო ადგილიდან სამუშაო ადგილამდე, ერთი საწარმოო უბნიდან მეორე უბნამდე; ყოველივე ამის შედეგად მოკლდება საწარმოო ციკლი და ხორციელდება სამუშაო ადგილის მთლიანი დატვირთვა.

შრომის სოციალისტური ორგანიზაცია, რომელიც დაფუძნებულია საწარმოო საშუალებების საზოგადოებრივ საკუთრებაზე, განაპირობებს წარმოებით ურთიერთობას, სადაც გამორიცხულია ძალადობისა და ექსპლოატაციის ყოველგვარი ფორმები. შრომის სოციალისტური ორგანიზაცია ხელს უწყობს მასების შემოქმედებითი ინიციატივის უმაგალითოდ გაშლას, სოციალისტური შეჯიბრებისა და სტახანოვური მოძრაობის გაშლა-გაფართოებას.

სტახანოვური შრომა, მოწინავეთა გამოცდილების გაზიარება და რაციონალიზატორულ წინადადებათა წარმოებაში დანერგვა შრომის ნაყოფიერების ზრდის დაუშრეტელ წყაროს წარმოადგენს.

სოციალისტურ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების ზრდაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე ისეთი ორგანიზაციული ფაქტორი, როგორიც არის ხელფასის ორგანიზაცია. სოციალისტურ მრეწველობაში ხელფასის რეგულირების ძირითად მიზანს წარმოადგენს გეგმიური შესაბამისობის დამყარება საშუალო ხელფასის ზრდასა და შრომის ნაყოფიერების ზრდას შორის. სოციალისტური ეკონომიკის ინტერესები მოითხოვენ განუხრელად იზრდებოდეს მუშათა საშუალო ხელფასი, მაგრამ პროდუქციის თვითღირებულების შემცირებასა და შიდასამრეწველო სოციალისტური დაგროვების ზრდას რომ მივაღწიოთ, საჭიროა შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპები წინ უსწრებდნენ საშუალო ხელფასის ზრდის ტემპებს. ამასთან ხელფასის სისტემა ისე უნდა იყოს ორგანიზებული, რომ მან ხელი შეუწყოს მუშათა დაინტერესებას ნაყოფიერად შრომისათვის, მათი კვალიფიკაციის ზრდას და საწარმოში შრომის დისციპლინის განმტკიცებას.

ლენინ—სტალინის პარტია ყოველთვის დიდ ყურადღებას უთმობდა და უთმობს სოციალისტურ საწარმოებში შრომის რაციონალური ორგანიზაციის საკითხებს. საჭიროა შეუნელებელი სიფხიზლე, რათა ძირშივე აღმოიფხვრას სოციალისტურ საწარმოებში მავნებლობის, სახელმწიფო ქონების გაფლანგვა-განიავების, უყაირათობის, მექრთამეობის და სხვა შემთხვევები. საჭიროა შეუნელებელი ბრძოლა შრომისადმი არაკომუნისტური დამოკიდებულების წინააღმდეგ, კაპიტალიზმის მავნე ნაშთების წინააღმდეგ, რაც ჯერ კიდევ დარჩენილია ზოგიერთი ადამიანის შეგნებაში.

ამხანაგი სტალინი კომუნისტური პარტიის XVI ყრილობაზე აღნიშნავდა, რომ „ბოლშევიკური შეტევის არსი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მოვახდინოთ მასების კლასობრივი სიფხიზლისა და რევოლუციური აქტივობის მობილიზაცია ჩვენი ქვეყნის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ; მოვახდინოთ მასების შემოქმედებითი ინიციატივისა და თვითმოქმედების მობილიზაცია ჩვენი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ბიუროკრატიზმის წინააღმდეგ, რომელიც გასაქანს არ აძლევს ჩვენი წყობილების წიაღში არსებულ კოლოსალურ რეზერვებს და არ გვანებებს მათს გამოყენებას; მოვაწყოთ მასების შეჯიბრება და შრომითი აღმავლობა შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად, სოციალისტური მშენებლობის გასაჩაღებლად". (სტალინი. თხზ. ტ. 12. გვ. 339).

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს შრომის ნაყოფიერების ზრდას სოციალისტურ მრეწველობაში მიმდინარე პერიოდში — სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის პერიოდში. პარტიის XIX ყრილობის დირექტივებში სსრ კავშირის განვითარების 1951-1955 წლების მეხუთე ხუთწლიანი გეგმის შესახებ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების გადიდება განსაზღვრულია დაახლოებით 50 პროცენტით, განზრახულია ძირითადად დამთავრდეს მძიმე და შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია მრეწველობასა და მშენებლობაში.

საბჭოთა ხალხმა ჩვენს ქვეყანაში გაშლილი გრანდიოზული მასშტაბის სამუშაოებს სამართლიანად უწოდა კომუნიზმის დიადი სტალინური მშენებლობანი. სოციალისტური მრეწველობა, ასრულებს რა კომუნიზმის დიად სტალინურ მშენებლობათა პასუხსაგებ დაკვეთებს, ყოველი მძლავრი ტურბინის, ექსკავატორის, მიწისმწოვი მანქანისა და სხვ. ვადაზე ადრე გამოშვებით აახლოებს კომუნიზმის დიად სტალინურ ნაგებობათა საექსპლოატაციოდ გადაცემის დროს. სოციალისტური მრეწველობის მუშაკები ლენინ—სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის გენიალური წინამძღოლობით, განუხრელად ზრდიან შრომის ნაყოფიერებას წარმოებაში და ამით აახლოებენ კომუნიზმს.

ი. ხუციშვილი,
მ. კეკელიძე.

# საბრალდებო დასკვნა რ. სლანსკისა და მის თანამზრახველთა საქმეზე

**პრაღა,** 20 ნოემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა საბრალდებო დასკვნა იმ ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების ცენტრის ხელმძღვანელი ბირთვის საქმეზე, რომელსაც რუდოლფ სლანსკი მეთაურობდა.

ამ საქმეზე პასუხისგებაში არიან მიცემული შემდეგი პირები: რუდოლფ სლანსკი — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოფილი გენერალური მდივანი; ბედრჟიხ გემინდერი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს საერთაშორისო განყოფილების ყოფილი უფროსი; ლუდვიგ ფრეიკა — რესპუბლიკის პრეზიდენტის კანცელარიის სახალხო მეურნეობის განყოფილების ყოფილი ხელმძღვანელი; იოზეფ ფრანკი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ყოფილი მოადგილე; ვლადიმერ კლემენტისი — ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრი; ბედრჟიხ რაიცინი — ეროვნული თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე; კარელ შვაბი — ეროვნული უშიშროების მინისტრის ყოფილი მოადგილე; არტურ ლონდონი — საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე; ვავრო გაიდა — საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე; ევჟენ ლებლი — საგარეო ვაჭრობის მინისტრის ყოფილი მოადგილე; რუდოლფ მარგოლიუსი — საგარეო ვაჭრობის მინისტრის ყოფილი მოადგილე; ოტო ფიშლი — ფინანსთა მინისტრის ყოფილი მოადგილე; ოტო შლინგი — ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ბრნოს საოლქო კომიტეტის ყოფილი მდივანი; ანდრე სიმონი — გაზეთ „რუდე პრავოს“ ყოფილი რედაქტორი.

ამ პირებს ბრალად ედებათ, აღნიშნულია საბრალდებო დასკვნაში, რომ „ისინი იყვნენ ტროცკისტ-ტიტოელი, სიონისტი ბურჟუაზიულ-ნაციონალისტი გამცემლები და ჩეხოსლოვაკიის ხალხის, სახალხო-დემოკრატიული წყობილებისა და სოციალიზმის მტრები, იმყოფებოდნენ ამერიკელი იმპერიალისტების სამსახურში და დასავლეთის მტრულ დაზვერვათა ხელმძღვანელობით შექმნეს ანტისახელმწიფოებრივი შეთქმულების ცენტრი, ძირს უთხრიდნენ სახალხო-დემოკრატიულ წყობილებას, ფუშავდნენ სოციალიზმის მშენებლობას, ზიანს აყენებდნენ სახალხო მეურნეობას, ეწეოდნენ ჯაშუშობას, ძირს უთხრიდნენ ჩეხოსლოვაკიის ხალხის ერთიანობას და რესპუბლიკის თავდაცვისუნარიანობას, რათა დაერღვიათ მისი მტკიცე კავშირი და მეგობრობა საბჭოთა კავშირთან, მოესპოთ ჩეხოსლოვაკიაში სახალხო-დემოკრატიული წყობილება, აღედგინათ კაპიტალიზმი, კვლავ ჩაებათ ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკა იმპერიალიზმის ბანაკში და მოესპოთ მისი თავისთავადობა და დამოუკიდებლობა“.

„იმპერიალისტური აგენტურის მთავარი წარმომადგენელი ჩეხოსლოვაკიაში მას შემდეგ, რაც იგი 1945 წელს გაათავისუფლა საბჭოთა არმიამ,—აღნიშნულია საბრალდებო დასკვნაში, — გახდა ჩეხოსლოვაკიის ხალხის მოღალატეთა ხროვა, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ დასავლეთის ძველი აგენტები ედუარდ ბენეში, პეტრე ზენკლი, გუბერტ რიპკა, ბოგუმილ ლაუშმანი, იან შრამეკი და იოსებ ლეტრიხი.

მაგრამ ამ აშკარა აგენტურასთან ერთად იმპერიალისტები კომუნისტური პარტიის შიგნით ქმნიდნენ სხვა აგენტურას მუშათა კლასის გამცემლებისაგან. იცოდნენ რა კომპარტიის ძალა, იმპერიალისტები ამ აგენტურას ამზადებდნენ უკვე მიუნხენამდელი რესპუბლიკის დროს და, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ რა მას თავიანთ ომისშემდგომ გეგმებში, აძლიერებდნენ ამ აგენტურას მეორე მსოფლიო ომის წინ“.

როგორც საბრალდებო დასკვნიდან ჩანს, „იმპერიალისტურმა დაზვერვებმა ჩეხოსლოვაკიის ხალხის წინააღმდეგ მტრულ საქმიანობაში ჩააბეს ევჟენ ლებლი, ოტო შლინგი, ლუდვიგ ფრეიკა, ვავრო გაიდა, ანდრე სიმონი და

ზიციებზე ჰყავდათ თავიანთი აშკარა აგენტურა ბენეშის მეთაურობით, სლანსკი ანტისახელმწიფოებრივი ცენტრის საქმიანობას წარმართავდა ბენეშის ხროვის დასახმარებლად.

„1948 წლის თებერვალში ჩეხოსლოვაკიაში კონტრრევოლუციური პუტჩის ჩაქრობისა და რეაქციული პარტიების განადგურების შემდეგ, — აღნიშნულია საბრალდებო დასკვნაში, — ამერიკელმა იმპერიალისტებმა თავიანთ ჩეხოსლოვაკიელ მსახურებს, რომლებსაც სლანსკი მეთაურობდა, ამოცანად დაუსახეს სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის დამხობა კომუნისტური პარტიის შიგნით კონტრრევოლუციური შეთქმულების მოწყობისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხის ბელადის კლემენტ გოტვალდის ფიზიკურად მოსპობის გზით“.

„სლანსკი, — როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული,—თანდათანობით ნიშნავს მთავარ პოზიციებზე პარტიასა და სახელმწიფო აპარატში თავის ყველაზე ერთგულ ადამიანებს — დასავლეთის ემიგრაციის წევრებს, სიონისტებს, ტროცკისტებს, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს, ჯაშუშებსა და ჩეხოსლოვაკიის ხალხის სხვა მტრებს. იგი ამას ახორციელებს იმ გზით, რომ პასუხისმგებელ მოღვაწეებს უმალავს ამ ადამიანთა ბნელ წარსულს, ყოველნაირად აყალბებს და ალამაზებს მათ დახასიათებას, ჩქმალავს და ფარავს მათ ბინძურ საქმიანობას“.

„შეთქმულთა ძირგამომთხრელი საქმიანობა,— ნათქვამია საბრალდებო დასკვნაში, — მიმდინარეობდა სხვადასხვა მიმართულებით, და უწინარეს ყოვლისა ისინი ჯაშუშობას ეწეოდნენ...

ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში შეთქმულების მომზადება და ჯაშუშური ცნობების შეგროვება ამერიკა-ინგლისის დაზვერვის ორგანოებმა დაავალეს გამოცდილ მზვერავებს თავიანთი ელჩების, სამხედრო ატაშეების, კორესპონდენტების, კულტურის საკითხთა წარმომადგენლების, სავაჭრო წარმომადგენლებისა და სხვათა სახით..

შეთქმულებმა ჯაშუშური კავშირი დაამყარეს ამერიკის ელჩ შტეინგარდტთან.

კორესპონდენტთა მოწმობების საფარით ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში ჯაშუშობას ეწეოდნენ ამერიკელი კორესპონდენტები მორიც ჰინდუსი და დავით შენბრუნი, რომლებთანაც ჯაშუშური კავშირი ჰქონდა ანდრე სიმონს.

ასეთივე ფართო კავშირი ჰქონდათ შეთქმულებს ინგლისის დაზვერვასთანაც.

ინგლისელ მზვერავთაგან, რომლებთანაც კავშირი ჰქონდათ შეთქმულებს, საბრალდებო დასკვნაში დასახელებული არიან ინგლისის ყოფილი ელჩები ჩეხოსლოვაკიაში ნიკოლსი და დიქსონი, გლედუინ ჯები, საკმაოდ ცნობილი ზილიაკუსი, ჟურნალისტები ლაიესი, ალექსანდრე ვერტი და პაულ უილერტი. შეთქმულებს კავშირი ჰქონდათ საფრანგეთის დაზვერვასთან, კერძოდ, ელჩ დეჟანთან.

ასრულებდნენ რა თავიანთ ოკეანესგაღმელ ბატონთა დავალებებს, აღნიშნულია საბრალდებო დასკვნაში, შეთქმულნი, რომელთაც სლანსკი მეთაურობდა, ყოველი ღონისძიებით ცდილობდნენ ჩაეშალათ სოციალიზმის მშენებლობა ჩეხოსლოვაკიაში.

ხუთწლიანი გეგმის პროექტის შედგენის დროს და მისი განხორციელების მსვლელობაში შეთქმულნი სლანსკის მეთაურობით იყენებდნენ საბოტაჟის სულ სხვადასხვა მეთოდებს, რათა ჩაეშალათ პარტიისა და ხალხის ის ღონისძიებანი, რომელთა მიზანია სოციალიზმის აშენება ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკაში. ეკონომიკის დაგეგმვა მავნებლურად წარმოებდა.

სძულდათ რა ხალხი და სოციალიზმი და ემსახურებოდნენ რა იმპერიალისტებს, ნათქვამია შემდეგ, შეთქმულნი ყოველნაირად ცდილობდნენ ჩაეშალათ აგრეთვე ჩეხოსლოვაკიის სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა.

# პოლონეთის სეიმის პირველი სესია

## ბოლესლავ ბერუტი არჩეულია პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ

**ვარშავა,** 20 ნოემბერი. (საკდესი). დღეს გაიხსნა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ახლად არჩეული სეიმის პირველი სესია.

პოლონელი ხალხის ბელადის ბოლესლავ ბერუტის გამოჩენას სხდომის დარბაზში დეპუტატები მქუხარე ტაშით ხვდებიან.

სესიას ხსნის სეიმის უხუცესი დეპუტატი ცნობილი მწერალი ლუციან რუდნიცკი. იგი სიტყვას აძლევს დეპუტატ ვიქტორ კლოსევიჩს, რომელსაც კრაკოვისა და კატოვიცის სავოევოდოებისა და ქალაქ ვარშავის დეპუტატთა ჯგუფების სახელით შეაქვს წინადადება სეიმის მარშლად არჩეულ იქნას პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, დეპუტატი იან დემბოვსკი. სეიმის მონაწილენი ერთხმად, მქუხარე ტაშით ირჩევენ იან დემბოვსკის სეიმის მარშლად.

შემდეგ ირჩევენ სეიმის მარშლის სამ მოადგილეს.

დეპუტატ ვლადისლავ ვიხის (ქალაქი ვარშავა) წინადადებით სეიმი ერთხმად ამტკიცებს დეპუტატთა ფიცის ახალ ტექსტს.

ყველა დეპუტატი ფეხზე დგება და ფიცს სდებს.

შემდეგ სეიმმა ერთხმად დაამტკიცა სეიმის მუშაობის შემდეგი წესი: 1. სახელმწიფო საბჭოს არჩევნები. 2. სამანდატო კომისიის არჩევა. 3. სეიმის მუშაობის რეგლამენტის დამტკიცება. 4. მთავრობის ჩამოყალიბება. 5. სეიმის მუდმივი კომისიების არჩევნები, 6. მთავრობისა და სახელმწიფო საბჭოს მიერ წარმოდგენილი კანონთა პროექტების დამტკიცება და საკანონმდებლო სეიმის რწმუნებათა ვადის გასვლის შემდეგ გამოცემული დეკრეტების დამტკიცება.

დეპუტატ ვლადისლავ დვორაკოვსკის ქალაქ ლოძის, კრაკოვის, შჩეცინისა და ლუბლინის სავოევოდოების დეპუტატთა ჯგუფების სახელით შეაქვს წინადადება სახელმწიფო საბჭოს არჩევის შესახებ.

სეიმი სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარედ მქუხარე ტაშით ირჩევს პოლონეთის მუშათა და რევოლუციური მოძრაობის ცნობილ მოღვაწეს ალექსანდრე ზავადსკის.

სახელმწიფო საბჭოს მდივნად ირჩევენ დეპუტატ მარიან რიბიცკის.

სეიმის რეგლამენტის შემმუშავებელი კომისიის არჩევის შემდეგ სეიმი იწყებს მთავრობის ჩამოყალიბების საკითხის განხილვას.

ამ საკითხზე სიტყვა ეძლევა დეპუტატ ფრანციშეკ მაზურს. აღნიშნა რა ბოლესლავ ბერუტის დიდი დამსახურება პოლონელი ხალხის წინაშე, ფ. მაზური აცხადებს, რომ ბოლესლავ ბერუტი, რომლის სახელიც ეროვნული ფრონტის დროშად, პოლონელი ხალხის ერთიანობისა და ძლიერების დროშად გადაიქცა, ყველაზე ღირსეული კანდიდატია სახელმწიფოს ძნელ და საპასუხისმგებლო პოსტზე. მაზურს წინადადება შეაქვს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ბოლესლავ ბერუტი. ამ წინადადებას სეიმი ერთხმად იღებს. ყველანი ფეხზე დგებიან და ბოლესლავ ბერუტს უწყობენ მქუხარე, ხანგრძლივ ოვაციას.

ხვალ სეიმი განაგრძობს მუშაობას.

# ვალტერ ულბრიხტის გამოსვლა

**ბერლინი,** 21 ნოემბერი. (საკდესი). ადნ-ის სააგენტო იუწყება: გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ ვალტერ ულბრიხტმა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა გერმანელი ხალხისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხზე — გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღდგენის საკითხზე. დასავლეთ გერმანიის მცხოვრებთა შეკითხვაზე, რა უახლოესი ღონისძიებანი უზრუნველყოფდნენ გერმანიის ერთიანობის აღდგენას, ვალტერ ულბრიხტმა შემდეგი უპასუხა:

1. მთელი გერმანიის მოსახლეობის უმეტესობა მოითხოვს, რომ მოწვეულ იქნას ოთხი სახელმწიფოს თათბირი გერმანიის წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამის შესაბამისად აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენლებმა უნდა მოითხოვონ ოთხი სახელმწიფოს თათბირის რაც შეიძლება მალე მოწვევა. დღის წესრიგის საკითხმა არ უნდა გააჭიანუროს ოთხი სახელმწიფოს თათბირის მოწვევა, რადგან შესაძლებელია და საჭიროა, რომ ერთსა და იმავე დროს განიხილონ და გადაჭრან გერმანიისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები — ეროვნული გაერთიანების, საზავო ხელშეკრულებისა და გერმანიიდან საოკუპაციო ჯარების გაყვანის საკითხები. ოთხი სახელმწიფოს თათბირში მთელი გერმანიის წარმომადგენლებმა რომ მიიღონ მონაწილეობა, ამისათვის სასურველია მოწვეულ იქნას აღმოსავლეთ და დასავლეთ გერმანიის წარმომადგენელთა ერთობლივი თათბირი.

2. ჩვენ მოვითხოვთ მომზადდეს სრულიად გერმანიის არჩევნები. თვითონ ბონის პარლამენტის წარმომადგენელთა განცხადებით არჩევნების მოსაწყობად საჭიროა წანამძღვართა შესწავლა და საარჩევნო კანონის ერთობლივი მომზადება. ვინც სერიოზულად ეკიდება სრულიად გერმანიის არჩევნებს, მან უნდა მოითხოვოს, რომ ამ მიზნით შეიქმნას სრულიად გერმანიის კომისია ორივე პარლამენტის რწმუნებულთაგან.

3. ის ფაქტი, რომ ბუნდესტაგმა დღემდე არ გასცა პასუხი სახალხო პალატის წინადადებებზე, ცხადყოფს, რომ მაოკუპირებელი სახელმწიფოები — ამერიკის შეერთებული შტატები და დიდი ბრიტანეთი და ადენაუერის მთავრობა ძლიერ გავლენას ახდენენ, რათა ხელი შეუშალონ ბონის პარლამენტს განიხილოს სახალხო პალატის წინადადებანი. მით უფრო საჭიროა, რომ დასავლეთ გერმანიის პატრიოტულმა ძალებმა გამოთქვან თავიანთი ნება და გამოათქმევინონ ბონის პარლამენტს თავისი აზრი.

# ავსტრალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის დიქსონის მოხსენება

**სიდნეი,** 21 ნოემბერი. (საკდესი). ავსტრალიის გაზეთმა „ტრიბუნმა“ გამოაქვეყნა ავსტრალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის დიქსონის მოხსენება, რომელიც მან გასულ კვირაში გააკეთა პარტიის პოლიტბიუროს სხდომაზე. თავის მოხსენებაში დიქსონმა ილაპარაკა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XIX ყრილობის მუშაობის შედეგებზე, აგრეთვე გააკეთა ავსტრალიის საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობის ანალიზი.

დიქსონი დაწვრილებით შეეხო საბჭოთა კავშირში სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის საკითხს და მოიყვანა ამხანაგ სტალინის ნაშრომის—„სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“ — ძირითადი დებულებანი. მან მოუწოდა პარტიის წევრებს ღრმად შეისწავლონ ეს გენიალური შრომა და ხაზგასმით აღნიშნა, რომ იგი იდეურად აიარაღებს კომუნისტებს.

# კორეის ამბები

## სახალხო არმიის მთავარსარდლობის ცნობა

**ფხენიანი,** 20 ნოემბერი. (საკდესი). კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიის მთავარსარდლობამ 20 ნოემბერს გამოაქვეყნა ცნობა:

განვლილი დღის მანძილზე კორეის სახალხო არმიის შენაერთები და ჩინელ სახალხო მოხალისეთა ნაწილები დასავლეთისა და ცენტრალური ფრონტების ცალკეულ უბნებზე განაგრძობდნენ თავდაცვით ბრძოლებს, იგერიებდნენ მოწინააღმდეგის იერიშებს.

კიმხვის რაიონში მტერმა 11-ჯერ მოიტანა იერიში სახალხო ჯარების პოზიციებზე, მაგრამ ზარალი ნახა და უკუიქცა.

საზენიტო ნაწილებმა და თვითმფრინავების გამანადგურებელმა მსროლელებმა ჩამოაგდეს მტრის 7 და დააზიანეს 6 თვითმფრინავი, რომლებიც მონაწილეობდნენ ზურგის მშვიდობიან დასახლებულ რაიონებზე თავდასხმებში.

# ამერიკელ აგრესორთა ბოროტმოქმედებანი სამხედრო ტყვეთა მიმართ

**პეკინი,** 20 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი კესონიდან იუწყება ამერიკელი აგრესორების მიერ სამხედრო ტყვეთა ბანაკებში ჩადენილი ახალი ბოროტმოქმედებების შესახებ.

ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს ცნობის თანახმად, წერს კორესპონდენტი, 5 ნოემბერს ამერიკელებმა შეიპყრეს ერთი სამხედრო ტყვე, რომელიც ცდილობდა გამოქცეულიყო კუნძულ კოჯედოდან. მას უნახეს ორი პეტიცია, რომლებშიც ლაპარაკია ამერიკის სამხედრო ტყვეთა ბანაკებში არსებულ საშინელებათა შესახებ. პეტიციები დაწერილი იყო გენერალ კიმ ირ სენისა და თავმჯდომარე მაო ძე-დუნის სახელზე.

რამდენადაც ეს ინციდენტი ცნობილი გახდა პრესისათვის, ამერიკის სამხედრო ტყვეთა ბანაკის ხელისუფალნი იძულებული გახდნენ გამოეცხადებინათ ამ ორი პეტიციის შინაარსის ნაწილი. ამ ნაწილიდან ჩანს, თუ როგორ აწამებდნენ და ხოცავდნენ ამერიკელები სამხედრო ტყვეებს და რა მამაცურად იბრძოდნენ რეპატრიაციისათვის სამხედრო ტყვეები. კორეელი და ჩინელი ტყვეები თავიანთ პეტიციებში აცხადებენ: „იმის შემდეგად, რომ ჩვენ გვეპყრობიან როგორც პირუტყვს, 300-ზე მეტი კაცი დაიღუპა დაუძლურების, სიცივის, დაავადებათა და დახვრეტის შედეგად, რასაც ადგილი აქვს ყოველდღე“.

იმისათვის, რომ დაფაროს სამხედრო ტყვეების მიმართ ჩადენილი დანაშაულობანი და მათი დახოცვა, ამერიკის ბანაკების კომენდანტმა კედუელმა შეთითხნა იმ კორეელ და ჩინელ სამხედრო ტყვეთა სია, რომლებიც მოკვდნენ „ბუნებრივი სიკვდილით“, „რომლებმაც თავი მოიკლეს“ და რომლებიც სინამდვილეში დახოცეს. მან განაცხადა, რომ 1 აგვისტოდან 12 ნოემბრამდე „ბუნებრივი სიკვდილით“ მოკვდა 170 სამხედრო ტყვე, 64 კაცი მოკლულ იქნა, ხოლო 10 კაცმა „თავი მოიკლა“. კედუელმა წინასწარი განზრახვით არ მოიხსენია დაჭრილ სამხედრო ტყვეთა რიცხვი და ვერ გაბედა აღენიშნა სამხედრო ტყვეთა სიკვდილის, დახოცვისა და „თვითმკვლელობის“ მიზეზები. უფრო მეტი, კედუელის ცნობები არ შეესაბამება ამერიკელთა მიერ წინათ გამოქვეყნებულ ცნობებს. ამ ცნობებით, 1 აგვისტოდან 12 ნოემბრამდე 70 სამხედრო ტყვე მოკლეს, 726 დაჭრეს და 9 ტყვემ „თავი მოიკლა“. ეს ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობები ცხადყოფენ, რომ ამერიკელები განზრახ ამცირებენ მათ მიერ მოკლულ და დაჭრილ სამხედრო ტყვეთა რიცხვს.

# ამერიკის თვითმფრინავების მიერ ჩინეთის საზღვრების დარღვევის ახალი შემთხვევები

**პეკინი,** 20 ნოემბერი. (საკდესი). სინხუას სააგენტოს კორესპონდენტი მუკდენიდან იუწყება: 28 ოქტომბრიდან 11 ნოემბრამდე ამერიკის სამხედრო თვითმფრინავები არაერთხელ შემოიჭრნენ ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის საჰაერო სივრცეში. ამ ხნის განმავლობაში საერთო ანგარიშით ამერიკელთა 250 სამხედრო თვითმფრინავმა 44-ჯერ დაარღვია ჩინეთის საჰაერო საზღვრები. ამერიკის თვითმფრინავებმა, რომლებიც 1 ნოემბერს შემოიჭრნენ ლიაოდუნის პროვინციის საჰაერო სივრცეში, ჩამოაგდეს ხუთი მაშუქი შუშხუნა დაბაში, რომელიც მდებარეობს 35 კილომეტრზე სუნშუჩენის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

ჩინელი ხალხი დიდად აღშფოთებულია ამერიკელი აგრესორების ამ პროვოკაციებით.

# წიგნის თარო




**კ. ლორთქიფანიძე. „კოლხეთის ცისკარი“** — სახელგამმა გამოსცა კ. ლორთქიფანიძის ნაწარმოებთა კრებული. წიგნში მოთავსებულია რომანი „კოლხეთის ცისკარი“ და მოთხრობები: მოგზაური, უსახელო მაღლობზე, მაისის დილა, როგორ მოკვდა მოხუცი მებადური, თერგის ყორანებში, ხალხის გული, უკვდავება (ბელორუსული მოთხრობები), ჯარისკაცი, ქართველი დედა (ესკიზი), ერთხელ ღამით (კინო-ნოველა). წიგნის რედაქტორია ი. მოსაშვილი. წიგნი შეიცავს 530 გვერდს და ღირს 8 მან. და 25 კაპ.

**ბ. პოლევოი. „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“** — საბლიტგამმა შ. ალხაზიშვილის რედაქციით გამოუშვა სტალინური პრემიის ლაურეატის ბ. პოლევოის ცნობილი ნაწარმოები: „ამბავი ნამდვილი ადამიანისა“, თარგმნილი პ. აბრამის მიერ. წიგნს დართული აქვს ბორის პოლევოის ბიოგრაფია. წიგნი შეიცავს 395 გვერდს და ღირს 7 მან. 50 კაპ.

**ო. ბალზაკი. „საბჭოთა მწერალმა“** გ. გაჩეჩილაძის რედაქციით გამოსცა ფრანგი რომანისტის ონორე დე ბალზაკის ნაწარმოებთა კრებული, სადაც შეტანილია რომანები: გობსეკი, პოლკოვნიკი შაბერი (თარგმანი რ. ქავჟარაძისა), შაგრენის ტყავი და მოთხრობები: ელ. ვერდუგი. ძმადნაფიცი, მხედართმთავრის ცოლი (თარგმანი გ. ქიქოძისა). წიგნს წამძღვარებული აქვს გ. გაჩეჩილაძის წინასიტყვაობა და დართული აქვს მისივე შენიშვნები. წიგნი შეიცავს 415 გვერდს და ღირს 18 მან. 20 კაპ.

# შეჯიბრება წყალბურთში

20 ნოემბერს, თბილისის ბერიას სახელობის „დინამოს“ სტადიონის წყალჯომარდობის საზამთრო აუზში დაიწყო შეჯიბრება წყალბურთში გაზეთ „ლელოს“ პრიზის მოსაპოვებლად. ასპარეზობაში მონაწილეობენ თბილისის, ბათუმისა და ფოთის წყალბურთელთა უძლიერესი კოლექტივები. გათამაშება მიმდინარეობს წრიული სისტემით ორ წრედ.

შეჯიბრებაში მონაწილე გუნდები დაყოფილია ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში გამარჯვებულ წყალბურთელთა კოლექტივს გადაეცემა გაზეთ „ლელოს“ გარდამავალი პრიზი — თასი და საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის საქმეთა კომიტეტის დიპლომი. მეორე და მესამე ადგილზე გამოსული გუნდები, აგრეთვე მეორე ჯგუფში გამარჯვებული წყალბურთელები დაჯილდოებული იქნებიან სათანადო დიპლომებითა და მოწმობებით.

გაზეთ „ლელოს“ პრიზის გათამაშება წყალბურთში წელს პირველად ეწყობა. მომავალში ეს პრიზი გათამაშდება ყოველწლიურად.

# შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში

დღეს, 22 ნოემბერს, თბილისის ლენინის სახელობის სასპორტო დარბაზში დაიწყება ფინალური შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში თბილისის ოლქის 1952 წლის პირად-გუნდური პირველობაზე. ამ ასპარეზობას წინ უძღოდა ზონალური შეჯიბრებები, რომლებშიც მონაწილეობა მიიღეს თბილისის ოლქის სხვადასხვა რაიონების ქართულ მოჭიდავეთა ძლიერმა კოლექტივებმა.

ზონალური შეხვედრები მოეწყო საგარეჯოში, გორში, თელავსა და ბორჯომში. ფინალში პირველობას ერთმანეთს შეეცილებიან: ახმეტის, გორის, თბილისის, თელავის, მცხეთის, რუსთავის, საგარეჯოს, ქარელისა და ხაშურის გუნდები, აგრეთვე ბორჯომის, ლაგოდეხისა და გურჯაანის რაიონების ის მოჭიდავეები, რომლებმაც ზონალურ ასპარეზობაში პირველი ადგილი დაიკავეს.

შეჯიბრება 2 დღეს გაგრძელდება.

# ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ამხ. ა. [illegible] — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამომცემლობათა და წიგნით ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს უფროსად.

ამხ. მ. ა. თათარაშვილი — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ამხ. ი. ს. ფრანგულიანი გაათავისუფლა საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან.

# დაიხურა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

20 ნოემბერს მოსკოვში საბჭოთა არმიის ცენტრალურ სახლში საზეიმოდ დაიხურა ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი.

...დარბაზის სცენა მორთულია სადღესასწაულოდ. მის სიღრმეში არის იმ ქვეყნების სახელმწიფო ალმები, რომელთა მოჭადრაკეებიც ტურნირში მონაწილეობდნენ.

საზეიმო სხდომა გახსნა ტურნირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მ. პესლიაკმა. ტურნირის შედეგებზე მოხსენება გააკეთა მთავარმა მსაჯმა — საერთაშორისო კატეგორიის მსაჯმა ვ. ჩუდოვამ.

დაძაბული ბრძოლის შედეგად ტურნირში გამარჯვება მოიპოვა საბჭოთა კავშირის მოჭადრაკემ, საერთაშორისო ოსტატმა ჭადრაკში ქალთა შორის ელისაბედ ბიკოვამ, რომელმაც მოაგროვა 11,5 ქულა თხუთმეტი შესაძლებლიდან. შეჯიბრების პირობების მიხედვით მას უფლება ეძლევა მომავალ წელს ითამაშოს მატჩი ქალთა შორის მსოფლიო პირველობაზე ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონთან, საერთაშორისო ოსტატთან ლუდმილა რუდენკოსთან (სსრ კავშირი).

მეორე და მესამე ადგილები ტურნირში გაინაწილეს ო. იგნატიევამ (სსრ კავშირი) და ფ. ჰეემსკერკმა (ჰოლანდია), მეოთხე, მეხუთე და მეექვსე ადგილები—ვ. ბელოვამ და კ. ზვორიკინამ (სსრ კავშირი) და ე. კელერ-გერმანმა (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა).

შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ ტურნირში გამარჯვებულ ე. ბიკოვას, აგრეთვე ტურნირის მონაწილეებს, რომლებმაც სიტყვები წარმოთქვეს,—ფ. ჰეემსკერკს (ჰოლანდია), ე. კელერ-გერმანს (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ი. ლანგოშს (უნგრეთი), შ. შოდე დე სილანს (საფრანგეთი), რ. ბრიუსს (ინგლისი), მ. ბერეა დე მონტეროს (არგენტინა), მ. ბეინს (ამერიკის შეერთებული შტატები), ს. რაიშერს (ავსტრია) და ნ. გრუშკოვა-ბელსკას (ჩეხოსლოვაკია), აგრეთვე ტურნირის არბიტრს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯს გ. მეიერს (შვეიცარია).

ყველა მოჭადრაკემ მხურვალე მადლობა გადაუხადა საბჭოთა კავშირის საჭადრაკო სექციას და საბჭოთა ხალხს გულთბილი სტუმართმოყვარეობისათვის და აღნიშნა ტურნირის კარგი ორგანიზაცია.

ტურნირის მონაწილეთ საბჭოთა კავშირის მოჭადრაკეთა სახელით მხურვალედ მიესალმა გროსმაისტერი ა. კოტოვი.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ გაიმართა დიდი კონცერტი. (საკდესი).

# „პეპო“ სტალინირის სახელმწიფო თეატრში

**სტალინირი.** (საქ. კორ.). კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის ქართულმა კოლექტივმა მაყურებელს მორიგ პრემიერად უჩვენა გ. სუნდუკიანცის „პეპო“.

მთავარი როლები შეასრულეს რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ნ. ნინონმა, მსახიობებმა გ. ქოქოევმა, ვ. დარბუაშვილმა, ი. შერაზადიშვილმა, მ. მელქოევამ და სხვ.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნის რეჟისორ გ. პატარიძეს, მუსიკა — მილორავას, მხატვრობა — ვ. მეზურნოვს.

ოთხშაბათს, 24 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე მარქს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის თბილისის ფილიალის სალექციო დარბაზში მოეწყობა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, ეკონომიკურ მეცნიერებათა ლექტორების მუდმივმოქმედი სემინარების გაერთიანებული მეცადინეობა თემაზე: **„ი. ბ. სტალინის შრომა: „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები სსრ კავშირში“, პარტიის XIX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებები და საზოგადოებრივ მეცნიერებათა სწავლების ამოცანები“.**

რედაქტორის მოადგილე
ი. ნატროშვილი.

## ოპერისა და ბალეტის თეატრი

| | |
|---|---|
| 22 ნოემბერს | 1. პ. ჩაიკოვსკი—**იოლანტა** 2. **საკონცერტო განყოფილება** |
| 23 ნოემბერს | დღისით 12 საათზე ზ. ფალიაშვილი—**დაისი**; საღამოს: დ თორაძე—**გორდა** ვ. ჭაბუკიანის მონაწილეობით |

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

# დღეს თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — 1. იოლანტა. 2. საკონცერტო განყოფილება; **რუსთაველის სახელობის** — ოთარაანთ ქვრივი; **მარჯანიშვილის სახელობის** — გაზაფხულის დილა; **გრიბოედოვის სახელობის** — ოპტიმისტური ტრაგედია (აბონემენტი 5, 6); **სომხური დრამის**—ვაგიფი; **მუსიკალური კომედიის** — ტრემბიტა; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — უკანასკნელი ორიანი (აბონემენტი 27, დასაწყისი 10 ს.), ქორწინება (აბონემენტი 11, დასაწყისი 6 ს.); **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — წინ, უშიშარნო! (7 ს. 30 წ.); **სანიტარული კულტურის**—გოჩა მინდიაური (პრემიერა).

მოქალაქე **სოლომონ ივანეს-ძე ბაგდასაროვმა**, მცხოვრებმა კარაკლისის შესახვევი № 3, აღძრა საქმე შემახის ქ. № 16 მცხოვრებ მოქალაქე **ანა არკადის ასულ ზურაბოვ**თან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მეორე უბნის სახალხო სასამართლო.

დედა ლიდა, შვილი პიმენ, ბებია ფედოსი, ბაბუა ბაგრატ, დეიდა თებრო, ბიძები სოლომონ, ვლასი, სამსონ, ბენო, ლეონტი ბუხაიძეები ოჯახებით იუწყებიან **ქეთო პიმენის ასულ ლოსაბერიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-XI მანდიკორში (ტყიბულის რ.).

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამშენებლო საქმის ინსტიტუტის თანამშრომლები იუწყებიან **ეპრაქსი მეთოდეს ასულ შიშინაშვილის** გარდაცვალებას.

მარიამ ჩივაძე-ყარალაშვილი, ნინო, თამარ, ლიზა მიქაძეები იუწყებიან სიძის **დომენტი ოტიას-ძე ბენდუქიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 23-XI, 2 ს. კარგარეთლის ქ. № 2.

ძმა ერმალო ჯიბლაძე ოჯახით იუწყება **კონსტანტინე მათეს-ძე ჯიბლაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 23-XI სოფელ შუაგანახლებაში (ჩოხატაურის რაიონი).

ანეტა, ვერა, ლილი, ოთარ, ნანა მგალობლიშვილები, გიორგი, თამაზ ნათიძეები, გაიანე, პეტრე, მანანა, ასინეთ ქლენტები იუწყებიან რძლის და ბიცოლას **სონია ქიქოძე-მგალობლიშვილის** გარდაცვალებას.

დები ელენე, ნატალია, სილვია, ანეტა, მარო, ქეთო, ძმა გაბრიელ ქიქოძეები, სიძე შალვა, დისწული ა. ნიჟარაძეები იუწყებიან **სონია ქიქოძე-მგალობლიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 22-XI, 8 ს. გამოსვენება 23-XI, 3 ს. ბარნოვის ქ. № 41.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პარტიული ცხოვრების — 3-81-84, პროპაგანდის—3-57-61, მრეწველობის—3-81-84, სოფლის მეურნეობის—3-57-61, საბჭოთა მშენებლობის, ადგილობრივი ინფორმაციისა და უცხოეთის ინფორმაციის—3-80-83, კულტურისა და ყოფაცხოვრების, კორესპონდენტთა ქსელის, საქმეთა მმართველობის — 3-80-84, მშრომელთა წერილების—3-73-24, განცხადებების—3-51-81, გამომშვების—3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 16708